



საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან იძულებით
გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

2016 წლის
ანგარიში



წარმოდგენილი ანგარიში ეხება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) 2016 წლის საქმიანობას. მასში აღწერილია ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა განხორციელებასაც დევნილთა სამინისტრო ახდენს ბოლო წლების განმავლობაში.



I. კომუნიკაციისა და სამინისტროს სერვისებზე წვდომის გაფართოება	1
1. კომუნიკაციის სტრატეგია	1
2. მისაღები ცენტრი, „ცხელი ხაზი“, საჩივრების ცხელი ხაზი	5
II. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები - დევნილები	7
1. დევნილთა გრძელვადიანი განსახლება	7
1.1 დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ცარიელი შენობების რეაბილიტაცია; ახალი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა, დევნილთა განსახლება გამოსყიდულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებში	8
1.2 კერძო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი, დაუმთავრებელი შენობების გამოსყიდვა, რეაბილიტაცია, საცხოვრებელ ერთეულად გარდაქმნა და დევნილებისათვის საკუთრებაში გადაცემა	9
1.3 კერძო საკუთრებაში არსებული და დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული საცხოვრებელი ფართების/შენობების გამოსყიდვა და დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემა	9
1.4 მენაშენებისაგან და კონტრაქტორი კომპანიებისაგან ახალაშენებულ კორპუსებში საცხოვრებელი ფართების შესყიდვა	9
1.5 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა	9
1.6 დევნილთათვის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ბინების შექმნა/შესყიდვა	10
1.7 სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში დევნილებისთვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების აშენება და საკუთრებაში გადაცემა	10
1.8 სოფლად სახლის პროექტი	10
2. საცხოვრებელი ფართების დაკანონების პროექტი	11



3.	იპოთეკური სესხის დაფარვის პროექტი.....	12
4.	სოციალური პაკეტი	13
5.	გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში, დევნილთა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა	13
6.	დევნილთა მონაცემთა ბაზის განახლება	13
III.	უგზო-უკვლოდ დაკარგულები	14
IV.	სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო	15
1.	მართვის ინსტიტუციური მექანიზმები	16
1.1	კოორდინაციის, მენეჯმენტის და მონიტორინგის მექანიზმი	16
1.2	კომუნიკაცია	25
2.	საკანონმდებლო ბაზა	35
3.	დასაქმების სერვისები და სოფლად თვითდასაქმება სახელმწიფო პროგრამებით	37
4.	განათლება და გადამზადება დასაქმების ხელშესაწყობად	39
5.	საარსებო წყაროების პროგრამებზე ხელმისაწვდომობა	43
V.	ეკომიგრანტები	47
VI.	მიგრანტები, რეპატრიანტები, ლტოლვილები	49
1.	საერთაშორისო დაცვა.....	49
1.1	სამართლებრივი ჩარჩო	52
1.2	თავშესაფრის მაძიებელთა განთავსების შესაძლებლობების გაზრდა.....	54
1.3	საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ინტეგრაცია.....	54
1.3.1	განათლება	55
1.3.2	ჯანდაცვა	59
1.3.3	სოციალური დაცვა.....	59



1.3.4	ნატურალიზაცია.....	59
1.4	საქართველოში უცხოელთა ინტეგრაციის პოლიტიკის დახვეწისა და ინსტიტუციონალიზაციის მიზნით გამოკვეთილი საჭიროებების შესწავლა.....	61
1.5	ინსტიტუციური ცვლილებები.....	62
1.5.1	თავშესაფრის შესახებ განაცხადებზე გადაწყვეტილების მიღების ხარისხის მონიტორინგისა და ტრენინგების განყოფილება	62
1.5.2	თავშესაფრის მაძიებელ პირთა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილება	64
1.6	რეგულარული საკონსულტაციო შეხვედრები მარტყოფის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში	66
2.	რეპატრიანტები	67
3.	მიგრანტები.....	68
	საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდაჭერა	69
	სარეინტეგრაციო პროგრამების მდგრადი დაფინანსება და მათი შესაძლებლობების გაზრდა საჭიროებების შეფასებასა და პროგნოზებზე დაყრდნობით.....	72
	მობილურობის ცენტრების (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, თელავი) ფუნქციონირების უზრუნველყოფა	73
	სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, სარეინტეგრაციო პროგრამების განხორციელება	73
	სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენა მსსკ-ის სარეინტეგრაციო საკითხთა კონსოლიდაციის სამუშაო ჯგუფისთვის	74
VII.	გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა	75



I. კომუნიკაციისა და სამინისტროს სერვისებზე წვდომის გაფართოება

1. კომუნიკაციის სტრატეგია

დევენილთა სამინისტროს პარტნიორებთან, მათ შორის საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავებულ იქნა კომუნიკაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცდა 2016 წლის 31 მარტის მინისტრის ბრძანებით.

კომუნიკაციის სტრატეგია მიზნად ისახავს განავითაროს სამინისტროს საჯარო მომსახურებაზე ფოკუსირებული კომუნიკაცია და უზრუნველყოს სამინისტროს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება სამოქალაქო საზოგადოების წინაშე.

სამინისტრო მომსახურებას უწევს სხვადასხვა საჭიროებების მქონე ადამიანებს, მათ შორის დევნილებს, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახებს (ეკომიგრანტებს), რეპატრიანტებს, დაბრუნებულ მიგრანტებს, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს და თავშესაფრის მაძიებლებს . ბენეფიციარებისთვის გაწეული მოსახურება ითვალისწინებს მათ აღრიცხვას, კანონით დადგენილი დახმარებების მიწოდებას, თავშესაფრის, საცხოვრებლის, საარსებო წყაროების და ბენეფიციარების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერი პროექტების განხორციელებას.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების დროს სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა სამინისტროებთან, პარლამენტთან, სახალხო დამცველთან, მუნიციპალიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დონორებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასთან და სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან.



სამინისტრო ითვალისწინებს, რომ მის ბენეფიციარებში არიან სხვადასხვა მოწყვლადი ქვე-ჯგუფები, რომლებთანაც კომუნიკაციას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ასეთ ქვე-ჯგუფებში შედიან: ქალები, გოგონები, ბავშვები, ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებნი, ქართული ენის არ მცოდნენი და სხვა კატეგორიის ადამიანები, რომლებსაც დახმარება ჭირდებათ საზოგადოებაში ინტეგრაციისა და თავიანთი უფლებების განხორციელების დროს.

სამინისტროს მისია კომუნიკაციის მიმართულებით შედგება შემდეგი ელემენტებისგან:

1. პროაქტიური კომუნიკაციის გაუმჯობესება და ეფექტური სტრატეგიული კომუნიკაციის ინოვაციური მეთოდების დანერგვა;
2. სამინისტროს ბენეფიციარების დროული და სათანადო ინფორმირებულობა მათი უფლებების, ვალდებულებების და სახელმწიფო პროგრამების შესახებ;
3. გამჭვირვალობა და საზოგადოების ჩართულობა სამინისტროს ბენეფიციარებთან დაკავშირებულ საკითხებში.
4. ეფექტური და თანმიმდევრული კომუნიკაციით სამინისტროს იმიჯის გაძლიერება;
5. სამინისტროს შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესება.

კომუნიკაციის სტრატეგიის მიზნებია:

(i) სამინისტროს ბენეფიციარების ინფორმირებულობა სამინისტროს მიერ მათ დაცვასთან და საზოგადოებაში მათ წარმატებულ ინტეგრაციასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებებისა და პოლიტიკის შესახებ. ბენეფიციარების ჩართულობის გაზრდა სამინისტროს პრიორიტეტებთან დაკავშირებულ დიალოგში;



- (ii) სამინისტროს გამჭვირვალე, მზრუნველი და ეფექტური მომსახურების მიწოდების სახის მუდმივი გაუმჯობესება თავის ბენეფიციარებთან თანასწორი და არადისკრიმინაციული მოპყრობის პრინციპის შესაბამისად;
- (iii) ეფექტური კომუნიკაციის გზების დასახვა.

2016 წლის განმავლობაში სამინისტრო ახორციელებდა, კომუნიკაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში გაწერილ, ამოცანებსა და გასატარებელ ღონისძიებებს, როგორც არის:

- სამინისტროს ბენეფიციარების ინფორმირება 2016 წელს მიმდინარე პროგრამების შესახებ:
 - დევნილთა ინფორმირება საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 18 დეკემბერს დამტკიცებული საარსებო წყაროების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამების და ღონისძიებების შესახებ;
 - დევნილთა ინფორმირება საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 4 თებერვალს დამტკიცებული დევნილთა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი და დროებითი განსახლების პროგრამების, „სოფლად სახლის“ პროგრამის, დევნილთათვის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის, ერთჯერადი ფულადი დახმარებების, ასევე სხვა დახმარებების და ღონისძიებების შესახებ;
 - ეკომიგრანტების ინფორმირება სამინისტროს ახალ ბაზაში მათი რეგისტრაციისთვის წარსადგენი დოკუმენტების და პროცედურების შესახებ;
 - ეკომიგრანტების ინფორმირება განსახლების პროგრამისა და შერჩევის კრიტერიუმების შესახებ;
 - საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების ცნობიერების ამაღლება სარეინტეგრაციო პროგრამებისა და შესაძლებლობების თაობაზე;
 - დიასპორული ორგანიზაციების ხელშეწყობა ემიგრაციაში სარეინტეგრაციო ტრენინგების და საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარებაში;
 - მიმღებ ცენტრ(ებ)ში თავშესაფრის მაძიებელ პირებთან პერიოდული შეხვედრების ფორმატის შემუშავება და საქართველოში ცხოვრების და ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობების, საკანონმდებლო სიახლეების,



მათი უფლებებისა და ამ უფლებათა დაცვის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

– ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირების რეგულარული ინფორმირება საკანონმდებლო ცვლილებების და ახალი სამთავრობო პროგრამების თუ ინიციატივების შესახებ;

– საინფორმაციო ბროშურების (არაბულ, ფრანგულ, სპარსულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე) გავრცელება სამიზნე ჯგუფში მათთვის ადმინისტრაციული პროცედურების, საქართველოში ცხოვრების და ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობების შესახებ;

– საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად ჩამოსვლამდე რეპატრიანტთა ინფორმირება საქართველოს სამართლებრივ საკითხებთან და ჩამოსვლის შემდგომ განსახლების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, ასევე სახელმწიფო სერვისების და მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების შესახებ;

- არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ბეჭდვითი და ელექტრონული ინფორმაციის მიწოდება 2016 წელს სამინისტროების მიერ განსახორციელებელი პროგრამების შესახებ, მათი ჩართულობა სამინისტროს ბენეფიციარებისთვის ინფორმაციის მომზადებასა და საინფორმაციო კამპანიების განხორციელებაში, ასევე სამუშაო შეხვედრების და მრგვალი მაგიდების მეშვეობით მათი რეგულარული ინფორმირება მიმდინარე პროექტების შესახებ;

- ადგილობრივი სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციების, საგანმანათლებლო დაწესებულებების და სხვა შუამავალი რგოლების ცნობიერების ამაღლება საქართველოში თავშესაფრის სისტემის და ინტეგრაციის პოლიტიკის მიზნების შესახებ;

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საინფორმაციო შეხვედრების გამართვა რეპატრიაციის საკითხების შესახებ;

- მასპინძელი თემების ინფორმირება სამინისტროს ბენეფიციარებისა და მათთვის განხორციელებული პროგრამების შესახებ;

- სხვა სამინისტროების, სამინისტროს პარტნიორი ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშების მიწოდება;

- მედია ტურების, სამინისტროს ბენეფიციარებთან ერთობლივი საჯარო ღონიძირებების, მათი უფლებების, სახელმწიფო პროგრამების, მომსახურების და



მათთან დაკავშირებულ პროცედურებზე ჟურნალისტების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება.

2. მისაღები ცენტრი, „ცხელი ხაზი“, საჩივრების ცხელი ხაზი

გრძელდება მიღების დღეების პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც მხოლოდ მინისტრმა და მოადგილემა ათასზე მეტი დევნილი მიიღეს. სისტემატურად ხდებოდა გასვლები დევნილების ჩასახლების ადგილებში. დევნილებთან კომუნიკაციის სრულყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისაღები ცენტრი, რომელმაც გააუმჯობესა სამინისტროს სერვისებზე დევნილების წვდომა და მათი დროისა და სახსრების სერიოზული დაზოგვა გამოიწვია. ცენტრის 13 თანამშრომელი, „ერთი ფანჯრის პრინციპით“, იძულებით გადაადგილებულ პირებს ყოველდღიურად 11 სახის მომსახურებას უწევს.

დევნილებისთვის სამინისტროსთან კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებაა მოქმედი „ცხელი ხაზი“. წლის განმავლობაში, ცხელ ხაზზე, საშუალოდ, 50-60 000 ზარი შემოდის და დასმული კითხვების დიდი ნაწილი შფასების კრიტერიუმებს, წინასწარ მინიჭებულ ქულებს და გრძელვადიანი განსახლების ვადებს ეხება. წარმატებით ფუნქციონირებს სამინისტროს ვებ-გვერდზე (www.mra.gov.ge) განთავსებული ონლაინ კონსულტაცია.

„ცხელ ხაზს“ 2015 წლის თებერვალში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მხარდაჭერით, საჩივრების ცხელი ხაზი დაემატა. საჩივრების ცხელი ხაზის მიზანია სამინისტროს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და ეფექტურობის გაზრდა და ოპერატიული რეაგირება შესაძლო დარღვევებზე.



აღნიშნული პროექტით ბენეფიციარებს, დევნილებს მიეცათ საშუალება დაუკავშირდნენ საჩივრების ცხელი ხაზის თანამშრომლებს სხვადასხვა შინაარსის საჩივრით, კერძოდ, თუკი დევნილი თვლის, რომ

1. დაირღვა სამართლიანობა საცხოვრებელი ფართის განაწილებისას;
2. არ ეთანხმება ქულების გამოთვლის შედეგებს;
3. გაუუქმდა დევნილის სტატუსი;
4. რეაბილიტაციისა და მშენებლობის პროცესში დაშვებულია ხარვეზები;
5. არ მიუწვდება ხელი სამინისტროს სხვადასხვა პროგრამაზე;
6. შემოტანილ განაცხადზე გვიანდება პასუხი;
7. ირღვევა დევნილის კანონით გარანტირებული უფლებები.

მისი საჩივრის შინაარსი რეგისტრირდება და მასზე რეაგირების მიზნით, სპეციფიკიდან გამომდინარე, ეგზავნება შესაბამის პასუხისმგებელ ერთეულს. ყოველი თვის ბოლოს საჩივრების კოორდინატორი და პროექტის მენეჯერი ამზადებენ ანგარიშს, რომელშიც თავმოყრილია შემოსული საჩივრების შინაარსი და მასზე განხორციელებული რეაგირება. საბოლოო დოკუმენტი ეგზავნება მინისტრს, მინისტრის მოადგილეებსა და შიდა აუდიტის დეპარტამენტს. დოკუმენტის გავრცელების მიზანია, ერთის მხრივ, საჭიროების შემთხვევაში, ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ერთეულების საქმიანობაში ცვლილებების განხორციელება, ხოლო მეორეს მხრივ, შიდა აუდიტის დეპარტამენტის მხრიდან შესაბამისი ზომების მიღება.

აღსანიშნავია, რომ დევნილს შესაძლებლობა აქვს საკუთარი პრობლემა გააჟღეროს არამხოლოდ ცხელი ხაზის საშუალებით, არამედ, განყოფილებას დაუკავშირდეს ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც.



II. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები - დევნილები

1. დევნილთა გრძელვადიანი განსახლება

დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესი სამი მიმართულებით მიმდინარეობს:

1. ნგრევად და სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან დევნილი ოჯახების გაყვანა;
2. სასამართლოს ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებისა და სამინისტროს მიერ გაცემული ადმინისტრაციული დაპირების საფუძველზე დევნილი ოჯახების უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართით;
3. კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილთა გრძელვადიანი განსახლება.

სამინისტრო დევნილთა განსახლების პროცესის დაჩქარების მიზნით, ერთდროულად, რამდენიმე პროექტს ახორციელებს. ესენია:

- რეაბილიტაცია და მშენებლობები;
- მასშტაბური ახალი მშენებლობები;
- „სოფლად სახლი“-ს პროექტი;
- „ჰუალინგ ჯგუფი“-სგან ბინების გამოსყიდვა;
- მენაშენებისგან ბინების გამოსყიდვა;
- დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული იმ ობიექტების გამოსყიდვა, რომლებსაც კერძო მესაკუთრე ჰყავს;
- მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართების კერძო საკუთრებაში გადაცემა;



- 2016 წლის პირველ იანვრამდე იპოთეკური სესხით დატვირთული ბინების გამოსყიდვის პროექტი.

1.1 დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ცარიელი შენობების რეაბილიტაცია; ახალი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა, დევნილთა განსახლება გამოსყიდულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებში

დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ 2016 წელს დაასრულა ხუთი ობიექტის რეაბილიტაცია, სადაც 332 ოჯახს გადაეცა ბინა. შეჩერდა 1 კარკასული ობიექტის (111 ბინა) რეაბილიტაცია, რომლიც განახლდება 2017 წელს. ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად.

2016 წელს დასრულდა ორი ახალი კორპუსის მშენებლობა ქალაქ ზუგდიდში, სადაც ჩაბარდა 144 ბინა. მიმდინარეობს ორი კორპუსის მშენებლობა ქ. ქუთაისში, დასრულდება 2017 წლის თებერვალში დასრულდება, სადაც შესაძლებელი იქნება 160 დევნილი ოჯახის შესახლება. 480 ბინიანი 4 კორპუსის მიმდინარე მშენებლობის დასრულება იგეგმება 2017 წლის ივნისში.

2016 წელს განხორციელდა 14,148,865 ლარის ღირებულების 707 სახლის შესყიდვა დევნილებისათვის.

2016 წელს განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ერთი საცხოვრებელი შენობების სრული რეაბილიტაცია, სათანადო საცხოვრებელ ერთეულად გარდაქმნა, 121 დევნილ ოჯახს გადაეცა ბინა საკუთრებაში.



1.2 კერძო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი, დაუმთავრებელი შენობების გამოსყიდვა, რეაბილიტაცია, საცხოვრებელ ერთეულად გარდაქმნა და დევნილებისათვის საკუთრებაში გადაცემა

2016 წელს, მოხდა კერძო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი, დაუმთავრებელი 1 ობიექტის გამოსყიდვა, რეაბილიტაცია, საცხოვრებელ ერთეულად გარდაქმნა (47ბინა) და დევნილებისათვის საკუთრებაში გადაცემა

1.3 კერძო საკუთრებაში არსებული და დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული საცხოვრებელი ფართების/შენობების გამოსყიდვა და დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემა

აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, 2016 წელს იგეგმებოდა 4 ობიექტის (80 ბინის) გამოსყიდვა და დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემა. 2016 წელს მოხდა 40 ბინის გამოსყიდვა, გარდა ამისა განხორციელდა დამატებით 4 ობიექტის (61 ბინის) გამოსყიდვა. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შედეგი შესრულდა გადაჭარბებით.

1.4 მენაშენებისაგან და კონტრაქტორი კომპანიებისაგან ახალაშენებულ კორპუსებში საცხოვრებელი ფართების შესყიდვა

2016 წელს დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, სამინისტროს მიერ შესყიდულ იქნა საცხოვრებელი ფართები მენაშენებისგან, სადაც განთავსებულია 458 ბინა.

„ჰუალინგ ჯგუფთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდულია 300 ბინა თბილისში, ოლიმპიურ სოფელში და უკვე განხორციელდა 300 დევნილი ოჯახისთვის ბინის გადაცემა.

1.5 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა

დევნილთათვის მიმდინარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა მოქმედი სტანდარტების მიხედვით. 2016 წელს მოხდა 18 ობიექტის, 1212 ბინის მშენებლობა. მშენებლობები მიმდინარეობს შემდეგ ქალაქებში: ქუთაისი -



2 ობიექტი (160 ბინა); ზუგდიდი - 6 ობიექტი (432 ბინა); გორი - 8 ობიექტი (480 ბინა); წყალტუბო - 2 ობიექტი (140 ბინა).

1.6 დევნილთათვის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ბინების შეძენა/შესყიდვა

2016 წელს, შესყიდულ იქნა 523 ბინა. 609 დევნილმა ოჯახმა მიიღო საცხოვრებელი სახლი. განსხვავებული რაოდენობა შეძენილ ბინებსა და დევნილთათვის საკუთრებაში გადაცემულ ბინებს შორის, გამოიწვეულია იმით, რომ შეძენის პროცესი უსწრებს ფაქტობრივად გადაცემას. ზოგიერთი სახლი, რომელიც შეძენილ იქნა 2015 წელს, დევნილებს გადაეცათ 2016 წელს. ასევე, არის ბინები, რომლებიც შეძენილ იქნა 2016 წელს, ხოლო მათი საკუთრებაში გადაცემა მოხდება 2017 წელს.

1.7 სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში დევნილებისთვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების აშენება და საკუთრებაში გადაცემა

აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, 2016 წელს დასრულდა 14 ინდივიდუალური სახლის მშენებლობა ზუგდიდის რაიონში. 50 სახლის აშენება იგეგმებოდა დონორის დაფინანსებით, მაგრამ 2016 წელს აღნიშნული არ განხორციელდა.

1.8 სოფლად სახლის პროექტი

სამინისტროში, უკვე მესამე წელია ხორციელდება ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი „სოფლად სახლი“. ეს პროექტი მნიშვნელოვანია ბევრი მიმართულებით. სამინისტრო 20 ათასი ლარის ფარგლებში დევნილებს სთავაზობდა სოფლად სახლებს საკარმიდამო ნაკვეთით, მაგრამ იქმნებოდა სერიოზული პრობლემა იმის გამო, რომ სამინისტროს მიერ მოძიებული სახლები დევნილებს არ აკმაყოფილებდათ. ამიტომ, სამინისტრომ შეცვალა მიდგომა და ახლა უკვე დევნილი თვითონაა ჩართული სახლის მოძიების პროცესში, რომელსაც მას სამინისტრო



კრიტერიუმების შესაბამისად შეუძენს. რაც მთავარია, კრიტერიუმები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და თანხის რაოდენობა განისაზღვრა ოჯახის სულადობიდან გამომდინარე. 17 000 ლარი ოჯახზე, რომელიც შედგება 1-2 წევრისაგან, 21 000-3-4 წევრი, 26 000- 5-7 წევრი, 31 000 - 8 და მეტი წევრი.

როგორც აღინიშნა, პროგრამაში მონაწილე დევნილები თავად არჩევენ მათთვის სასურველ საცხოვრებელ სახლს სოფლად მიწის ნაკვეთთან ერთად. ამგვარად, დევნილებს გრძელვადიან საცხოვრებელ სახლთან ერთად საშუალება ეძლევათ ჰქონდეთ წვდომა მიწაზე, რისი დამუშავების შემთხვევაში მათ უჩნდებათ საარსებო წყარო, შემოსავლები და სოფლის მეურნეობაში მიმდინარე სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობის საშუალება. იძულებით გადაადგილების შედეგად, ბევრი ისეთი დევნილი ოჯახი დასახლდა ქალაქში, რომლებიც სოფლად ცხოვრობდნენ, შესაბამისად მათ აქვთ სასოფლო სამეურნეო აქტივობებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, მათ აქვთ სურვილი ჩართულნი იყვნენ სოფლად სახლის პროგრამაში და თავად აირჩიონ სასოფრო-სამეურნეო მიწა თავიანთ შერჩეულ სოფელში და სახელმწიფოს დახმარებით დასახლდნენ. საერთო ჯამში, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2016 წელს 707 დევნილი ოჯახი დასახლდა სოფლად სახლის პროექტის ფარგლებში.

2. საცხოვრებელი ფართების დაკანონების პროექტი

2016 წელს აქტიურად მიმდინარეობდა დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართების დაკანონების პროცესი, წლის განმავლობაში მთავრობის განკარგულება გამოიცა 2532 ოჯახზე, მათ შორის პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად პრივატიზების საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია განხორციელდა 2013 უძრავ ნივთზე.



სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართები საკუთრებაში გადაეცა 1000-ზე მეტ დევნილ ოჯახს.

იმისათვის, რომ განსახლებულ დევნილთათვის მოხდეს საცხოვრებელი ფართების კანონმდებლობის საფუძველზე საკუთრებაში გადაცემის პროცესის დაჩქარება, შეიქმნა და მუშაობს დაკანონების ხარვეზების შემსწავლელი კომისია. კომისიის მუშაობა დასრულდა და შესაბამისი მემორანდუმი გაფორმდა აღნიშნულ საკითხებზე ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოს, საჯარო რეესტრსა და სამინისტროს შორის. მემორანდუმი ითვალისწინებს არსებული ხარვეზების აღმოფხვრას, დევნილთა ჩასახლებებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის საერთო სარგებლობის ფართების საკუთრების გადაცემის პროცედურები.

3. იპოთეკური სესხის დაფარვის პროექტი

როგორც შემოტანილი განაცხადების რაოდენობამ აჩვენა, დევნილებში მაღალია ინტერესი დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიმართულებით იპოთეკური სესხის დახმარების პროგრამის მიმართ. ვინაიდან 2015 წელს წარმატებით განხორციელდა იმ დევნილთა დახმარების პროგრამა, რომლებსაც აღებული ქონდათ იპოთეკური სესხი საცხოვრებლის შესაძენად, 2016 წელსაც გაგრძელდა აღნიშნული დახმარება პროგრამა დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიმართულებით. და 2016 წლის 21 მარტის N472 მთავრობის განკარგულების საფუძველზე ცვლილება შევიდა დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმაში, რის მიხედვითაც აღნიშნული პროგრამით შეუძლიათ ისარგებლონ იმ დევნილებმა, რომლებმაც 2016 წლის 1 იანვრამდე შეიძინეს საცხოვრებელი სახლი/ბინა იპოთეკური სესხით და ეს საცხოვრებელი წარმოადგენს მათ ერთადერთ ფაქტობრივ საცხოვრებელს. 2016 წლის პირველ ნახევარში



აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დახმარება მიიღო 44 დევნილმა ოჯახმა, რაშიც დაიხარჯა 857 567,28 ლარი.

4. სოციალური პაკეტი

გადაუდებელი/განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, სამინისტრო უზრუნველყოფს დევნილებს ფულადი დახმარებით შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად, 2016 წელს მოხდა 8471 ოჯახის ერთჯერადი ფულადი დახმარებით უზრუნველყოფა. გადაწყვეტილების მიღება მოხდა შესაბამისი კომისიის მიერ, ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მოწყვლადობის გათვალისწინებით, უმეტეს შემთხვევაში დახმარება გამოწვეული იყო ზამთარში გათბობის საჭიროებიდან გამომდინარე. 2016 წელს დაგეგმილი იყო 3000 ოჯახისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარების აღმოჩენა, თუმცა აქტივობის შესრულება მოხდა გადაჭარბებით.

5. გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში, დევნილთა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა

დევნილთა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა ხორციელდება მინისტრის ნორმატიული აქტით დამტკიცებული დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესისა და კრიტერიუმების მიხედვით. 2016 წელს დაგეგმილ ოყო 200 ოჯახისთვის ბინის ქირის სუბსიდირება. 2016 წელს, სულ მოხდა 280 დევნილი ოჯახისთვის ბინის ქირის სუბსიდირება. ზოგიერთმა ოჯახმა მიიღო აღნიშნული სუბსიდირებმა რამდენჯერმე. დაგეგმილი აქტივობის განხორციელება მოხდა გადაჭარბებით.

6. დევნილთა მონაცემთა ბაზის განახლება

დევნილთა მონაცემთა ბაზაში მიმდინარეობს კანონმდებლობით განსაზღვრული მონაცემების მუდმივი განახლება ცხელი ხაზის, დევნილთა მისაღების, სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებისა და სამინისტროს რეგისტრაციისა და სხვა მობილური ჯგუფების მეშვეობით.



დევნილთა მონაცემთა ბაზა განახლებულია, ხელმისაწვდომია უფლებამოსილი პირებისათვის, ფუნქციონირებს და ხდება ინფორმაციის განახლება სეგრეგირებული მონაცემების მიხედვით (სქესი, ასაკი და რეგიონი). იგი შეიცავს პროგრესის შეფასებისთვის საჭირო ყველა სახის ინფორმაციას.

III. უგზო-უკვლოდ დაკარგულები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო აქტიურად არის ჩართული 1992-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად და მის შემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირებთან დაკავშირებულ ორმხრივ საკოორდინაციო მექანიზმში. ორმხრივი საკოორდინაციო მექანიზმი შეიქმნა 2010 წელს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ეგიდით. მას შემდეგ, 10 შეხვედრა გაიმართა.

საკოორდინაციო მექანიზმის მანდატი 1992-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად და მის შემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგული 2,300-ზე მეტი პირის ბედის და ადგილსამყოფელის გარკვევას და მათი ოჯახის წევრების სათანადოდ ინფორმირებას ითვალისწინებს. საკოორდინაციო მექანიზმის საქმიანობა არის მკაცრად განსაზღვრული, მხოლოდ ჰუმანიტარული ხასიათის; არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერი სხვა მიზნით გარდა, წმინდა ჰუმანიტარული მოსაზრებებიდან გამომდინარე, უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ბედისა და ადგილსამყოფელის გარკვევისა.

2013- 2016 წლებში მთელი რეგიონის მასშტაბით 28 სამარხიდან 234 ნეშტი იქნა ამოღებული. მექანიზმის ფარგლებში, ამ დრომდე იდენტიფიცირებულ იქნა და ოჯახებს გადაეცა 100 პირი, მათ შორის 2016 წელს ამოცნობილი 40 პირი.



IV. სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (შემდგომში სააგენტო) წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. სააგენტოს საქმიანობის მიზანია დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და ამ მიზნის მისაღწევად სხვადასხვა სახის პროგრამებისა თუ პროექტების შემუშავება-განხორციელება, საარსებო წყაროების მიმართულებით მიმდინარე პროგრამების კოორდინაცია და მათ შესახებ დევნილთა ცნობიერების ამაღლება. სააგენტო თავისი საქმიანობის ფარგლებში აქტიურად თანამშრომლობს სხვა სამთავრობო სტრუქტურებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

სამინისტროს მიერ შემუშავდა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქნა „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთათვის საარსებო წყაროების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერის სტრატეგია“, რაც განსაზღვრავს დევნილთა საარსებო წყაროებით მხარდაჭერის ძირითად მიმართულებებს, პრიორიტეტებს და მათი განხორციელების გზებს.

სააგენტო თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მთავრობის N2721 დადგენილებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის“ (შემდგომში სამოქმედო გეგმის) საფუძველზე.



1. მართვის ინსტიტუციური მექანიზმები

1.1 კოორდინაციის, მენეჯმენტის და მონიტორინგის მექანიზმი

დევნილთა საარსებო წყაროებზე დროული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ჩამოყალიბდა კოორდინაციის მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართულ შემდეგ უწყებებთან:

1. სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო
2. სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო
3. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
4. ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო

ამას გარდა, 2016 წლის დასაწყისში სააგენტოს ძალისხმევით მოხდა ზემოთხსენებული სამოქმედო გეგმის შესრულებაში ჩართულ უწყებებში სამუშაო დონეზე მინიმუმ ერთი თანამშრომლის იდენტიფიცირება, რომელიც ჩართულია მისი უწყების კონტროლს დაქვემდებარებული საქმიანობის შესაბამისი მონაცემების შეგროვებასა და კვარტალში ერთხელ სააგენტოსათვის გაზიარებაში.

წლის განმავლობაში, კვარტალში ერთხელ სააგენტო კოორდინერებას უწევდა ყველა უწყებიდან განახლებული მონაცემების მიღებას. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად განისაზღვრებოდა პროგრესი თითოეულ აქტივობასთან მიმართებაში და იგეგმებოდა შემდეგ კვარტალში განსახორციელებელი საქმიანობა.



2016 წლის დასაწყისში, „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული საქმიანობის შესრულების მონიტორინგის მიზნით შეიქმნა უწყებათაშორისი კომიტეტი. კომიტეტის შემადგენლობა დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის N529 ბრძანებით. უწყებათაშორისი კომიტეტი შედგება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, საქართველოს ფინანსთა, საქართველოს სოფლის მეურნეობის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების მოადგილეებისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისაგან. უწყებათაშორისი კომიტეტს ხელმძღვანელობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი. კომიტეტის მუშაობის წესი დამტკიცებულია მინისტრის N398 ბრძანებით.

უწყებათაშორისი კომიტეტის პირველი შეხვედრა გაიმართა მიმდინარე წლის 22 აგვისტოს. კომიტეტის შეხვედრის ორგანიზებას ახორციელებს სააგენტო, როგორც სამდივნო ფუნქციების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყება.

უწყებათაშორისი კომიტეტის შეხვედრას ესწრებოდა ყველა ჩართული უწყების წარმომადგენელი. გატანილ იქნა 8 რეკომენდაცია. თითოეულ მათგანზე უწყებათაშორისმა კომიტეტმა მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

მიმდინარე წელს შედგა სამეთვალყურეო საბჭოს ოთხი შეხვედრა. შეხვედრებზე შემუშავებული რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება უწყებათაშორისი კომიტეტს, რომელზედაც უწყებათაშორისმა კომიტეტმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:



1. სააგენტოსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს შორის განხილულ იქნეს შესაძლებლობა, თუ რა მეთოდით შეიძლება მოპოვებული იქნეს მეპაიე დევნილების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია. მეთოდის შემუშავებისა და მონაცემთა მიღების შემდეგ განხორციელდეს მონამცემთა ბაზების დადარება.
2. სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტომ“ გადაუგზავნოს სრულყოფილი მონამცემთა ბაზა სააგენტოს. მოწოდებული მონაცემების გადმოგზავნის შემდეგ, განხორციელდეს მათი დადარება დევნილთა მონაცემთა ბაზაზე.
3. სააგენტომ უზრუნველყოს დონორ ორგანიზაციებთან საკითხის დაყენება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე დონორ ორგანიზაციებმა დაარეგულირონ მონაცემების მოწოდების საკითხი. ასევე, სააგენტომ უზრუნველყოს დევნილთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან საკითხის დაყენება, რომ დევნილთა შესახებ ინფორმაციის გადმოგზავნა არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაარეგულირონ ბენეფიციარებთან ურთიერთობის საწყის ეტაპზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4. 2016 წლის არაუგვიანეს ოქტომბრის თვისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ქალებისთვის არატრადიციული პროფესიების პოპულარიზაციის მიმართულებით და მიმდინარე წლის ბოლომდე მოახდენს არატრადიციული პროფესიების განსაზღვრას. ამავე დროს, აღნიშნულ საკითხზე კონსულტაციები გაიაროს გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან.
5. დევნილი პირებისთვის კანონმდებლობის გადახედვის, მსჯელობისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სამინისტროებსა და სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართულ სხვა უწყებებს შორის



- სამუშაო დონეზე მოხდეს მჭიდრო თანამშრომლობა. საჭიროებისამებრ განხორციელდეს სამუშაო შეხვედრები ან/და სამუშაო ჯგუფების შექმნა.
6. სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართულ უწყებებმა უზრუნველყონ სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ორგანიზებულ ფორუმებზე საკუთარი პროგრამების სათანადო წარმოჩენა. სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ უზრუნველყოს ფორუმების ჩატარების კალენდრის მიწოდება შესაბამის უწყებებისთვის.
 7. სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტომ“ მონაცემები სააგენტოს მიწოდოს ყოველ კვარტალში, ისე, რომ შესაძლებელი იყოს ქალისა და მამაკაცის იდენტიფიცირება.
 8. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ სააგენტოებმა: სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტომ“ და ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ“ შესაძლებლობის ფარგლებში, მიმდინარე პროექტების ანგარიშებში ჩაშალონ დევნილთა შესახებ მონაცემები სქესის მიხედვით და მიაწოდონ სააგენტოს.
 9. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სააგენტოს განცხადების საფუძველზე, გადაუგზავნოს დევნილთა მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების თაობაზე არსებული მონაცემთა ბაზა სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, რომელმაც 2016 წლის ბოლომდე, უნდა უზრუნველყოს მის ხელთ არსებული ბაზისა და მოწოდებული მონაცემთა ბაზის დადარება და დევნილთა საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების შესახებ ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა.



ამასთან ერთად, ივნისში დაინტერესებულ მხარეებს მონიტორინგის განხორციელების მიზნით გადაეგზავნათ საარსებო წყაროების სამოქმედო გეგმის განხორციელების ნახევარი წლის ანგარიში, თანდართული დოკუმენტაციით. სამეთვალყურეო საბჭომ აღნიშნული ანგარიში საბოლოოდ მიიღო 2016 წლის 23 დეკემბერს.

მხარეებს საკუთარი შენიშვნებისა და მოსაზრებების შესამუშავებლად მიეცათ 10 დღიანი ვადა. 2016 წლის 11 ივნისს კი გაიმართა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ სამინისტროს, სააგენტოსა და დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლები.

სააგენტომ, სამინისტროსთან ერთად დაიწყო სამოქმედო გეგმის გადახედვის მოსამზადებელი სამუშაოები. ამ მიზნით, დაიგეგმა და განხორციელდა ორი შეხვედრა, 2016 წლის თებერვლისა და მარტის თვეებში, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სადაც ხაზგასმული იყო პრობლემატური საკითხები.

2016 წლის მეორე ნახევარში შედგა სამი სამუშაო შეხვედრა მცხეთა-მთიანეთისა, შიდა ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში მაცხოვრებელ დევნილებთან. აღნიშნულ შეხვედრებზე დამსწრე დევნილთა თემის ლიდერებს სააგენტოსა და სამინისტროს წარმომადგენლებმა წარუდგინეს საარსებო წყაროების 2017 წლის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია, რის შემდეგაც განხილულ იქნა დევნილთა საჭიროებებისა და სამოქმედო გეგმაში ასახული საქმიანობის შესაბამისობის საკითხი.

2015 წლის ბოლოს UNHCR-ისა და სამინისტროს ერთობლივი პროექტის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა საარსებო წყაროების მონაცემთა ბაზა. მის შესავსებად სააგენტო იყენებს ლტოლვილთა დანიის საბჭოს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად შექმნილ მონაცემთა ბაზას. აღნიშნულ ორ ბაზას შორის არის განსხვავებული ველები, რომელთა შევსებაც აუცილებელია, იმისათვის, რომ ინფორმაციის დამახსოვრება მოხდეს სააგენტოს მონაცემთა ბაზაში. 2016 წლის I



კვარტალში ბაზაში მუშაობის დაწყების შემდეგ გამოვლინდა გარკვეული ტექნიკური ხარვეზები, რომელიც I-ვე კვარტალში აღმოფხვრილ იქნა.

მონაცემთა ბაზის განახლების მიზნით, მიმდინარეობს პროექტების განმახორციელებელი ორგანიზაციებიდან სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვების პროცესი. მომსახურების მიმწოდებლებს შესავსებად ეტაპობრივად ეგზავნებათ მონაცემთა ბაზის ველების იდენტური ელექტრონული ფორმა, რომელიც შემუშავებულ იქნა მეორე კვარტალში. 2016 წლის მაისში ფორმა შესავსებად გაეგზავნა საარსებო წყაროების უზრუნველყოფის პროგრამებზე მომუშავე 23 ორგანიზაციას. სრულყოფილად შევსებული ცხრილი მივიღეთ 5 ორგანიზაციიდან. კომერციული ბანკებიდან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან და სახელმწიფო სტრუქტურებიდან ინფორმაციის მოპოვება ხორციელდება მათი ოფიციალური ვებ გვერდების საშუალებით. წლის მეორე ნახევარში ინფორმაციის განახლების მიზნით გაიგზავნა მოთხოვნა 11 არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომელთაგან 4-მა მიაწოდა სააგენტოს ინფორმაცია მიმდინარე პროგრამებისა და პროექტების შესახებ.

მესამე კვარტალში გაფორმდა მემორანდუმი სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და ლტოლვილთა დანიის საბჭოს შორის ზემოთხსენებული ბაზის ოფიციალურად გადმოცემის თაობაზე.

სააგენტომ თავის ოფიციალურ ვებ გვერდზე განათავსა ინფორმაცია საარსებო წყაროების მიმართულებით მიმდინარე პროგრამების შესახებ. ვებ გვერდი საშუალებას იძლევა ინფორმაცია დახარისხებულ იქნას რეგიონების მიხედვით, რაც დაინტერესებულ პირს უადვილებს პროგრამების მოძიებას მისთვის სასურველ რეგიონში.

საბაზისო ინფორმაციის მოსაპოვებლად სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველომ გამოითხოვა სტატისტიკური მონაცემები დევნილთა შესახებ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან, მათ შორის საჯარო რეესტრიდან, სამოქალაქო რეესტრიდან, შემოსავლების სამსახურიდან, განათლების მართვის



საინფორმაციო სისტემიდან, საქსტატიდან და სოციალური მომსახურების სააგენტოდან. ასევე, იმ მონაცემის მოსაპოვებლად, რომლებიც არ გააჩნიათ სახელმწიფო უწყებებს, შემუშავდა კვლევების ჩატარების გეგმა და მიმდინარეობს ამ გეგმით გათვალისწინებული კვლევების განხორციელება.

საარსებო წყაროებზე დევნილთა ინფორმირებულობის დონის შესამოწმებლად 2016 წლის I კვარტალში დამოუკიდებელი კვლევითი ორგანიზაციის მიერ ჩატარდა სატელეფონო გამოკითხვა, რის შედეგადაც გაირკვა, რომ დევნილების 43%-ს სმენია მინიმუმ ერთი საარსებო წყაროს პროგრამის შესახებ მაინც (გარდა გრძელვადიანი განსახლებისა და დევნილთა ყოველთვიური შემწეობის პროგრამისა).

გამოკითხვით მიღებული შედეგების გათვალისწინება მოხდა მიმდინარე საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვისას, რომლის მიზანია გაზარდოს დევნილთა ცნობიერება საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ.

სამოქმედო გეგმით, პროგრესის განსაზღვრის მიზნით, გათვალისწინებული იყო იმავე შინაარსის გამოკითხვა 2016 წლის ბოლოს. დამოუკიდებელმა კვლევითმა ორგანიზაციამ განხორციელა დევნილთა ცნობიერების განმეორებითი შეფასება 2016 წლის დეკემბერში. წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, გამოკითხულ დევნილთა 74%-მა იცის მინიმუმ ერთი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც საარსებო წყაროების მიმართულებით ხორციელდება.

ევროკავშირის დაფინანსებითა და ტექნიკური დახმარების ჯგუფთან ერთად ჩატარდა კვლევა განსახლების საჭიროებების გამოკითხვის შესახებ და შედეგები მიეწოდა დევნილთა სამინისტროს. კვლევის ერთი ნაწილი ეხება დევნილთა საარსებო წყაროებსა და შემოსავლებს.

ასევე, ევროკავშირის დაფინანსებითა და ტექნიკური დახმარების ჯგუფის მიერ ჩატარდა კოლექტიური ცენტრების „პროფაილინგი“. აღნიშნულმა კვლევამ საშუალება მოგვცა, რომ უფრო სრულყოფილი სურათი ვიქონიოთ კოლექტიურ



ცენტრებში მცხოვრები დევნილების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

სამინისტრომ ასევე ჩაატარა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დევნილთა სატელეფონო გამოკითხვა, რომლის შუალედული შედეგების წინასწარი ანალიზი განხორციელდა 2016 წლის ივნისის თვეში. შედეგები მიეწოდა დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, რათა მოხდეს მათი გათვალისწინება საარსებო წყაროების პროგრამების შემუშავების დროს. სამინისტრომ გამოკითხვის შედეგები გაუზიარა პარტნიორ არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებს.

საარსებო წყაროების პროგრამების ბენეფიციარების გამოკითხვის მიზნით, რათა შემოწმდეს უშუალოდ ბენეფიციარების კმაყოფილების დონე კონკრეტულ პროგრამებთან მიმართებით და მოხდეს არსებული პროგრამების ნაკლოვანებების გამოსწორება, შემუშავებულ იქნა თითოეული სახელმწიფო პროგრამის მახასიათებლებს მორგებული კითხვარი დევნილთა სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველოს მიერ დევნილთა საარსებო წყაროების სააგენტოსა და პროგრამების განმახორციელებელ შესაბამის უწყებებთან ერთად. კითხვარი შემუშავდა სამინისტროსა თითოეული პროგრამისთვის, რომლებშიც შესული იყო რემდენიმე საერთო, ასევე პროგრამისთვის სპეციფიკური კითხვა. კითხვარი საშუალოდ 12 კითხვისგან შედგებოდა.

რესპონდენტები შეირჩა შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენებით და თითოეული პროგრამიდან შეირჩა მინიმუმ 30 ბენეფიციარი, რამაც ჯამში 180 პირი შეადგინა.

გარდა ზემოთგანხილული კვლევებისა, განხორციელდა კვლევების გეგმაში გათვალისწინებული არსებული კანონმდებლობის გადახედვა დევნილთათვის მიწაზე ხელმისაწვდომასთან, საარსებო წყაროების პროგრამების დაწყებისთვის ფინანსურ რესურსებზე წვდომასთან და დამწყები ბიზნესების გადასახადებისაგან გათავისუფლების პოტენციალის შეფასებასთან დაკავშირებით. შემუშავებული



რეკომენდაციები წარედგინა სამეთვალყურეო საბჭოს განსახილველად და ამ მიმართულებით მუშაობა კვლავ გაგრძელდება მომავალ წლებშიც დაინტერესებულ მხარეებსა და შესაბამის უწყებებთან ერთად, რათა მოხდეს კანონმდებლობის მისადაგება ცვალებად რეალობასთან.

დევნითათვის მიწაზე წვდომის შესახებ პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველოს მიერ მომზადებულ იქნა ანალიტიკური დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილ იქნა ამ საკითხებში არსებული გამოწვევები.

ასევე ჩატარდა კვლევების გეგმით გათვალისწინებული დევნილთა განსახლების კმაყოფილების შესწავლა, რის შედეგების გათვალისწინებაც მოხდა დევნილთა სამოქმედო გეგმის დაგახედვის დროს.

როგორც საქსტატის წარმომადგენლებთან კონსულტაციის დროს გაირკვა, საქსტატის შინამეურნეობისა და სოფლის მეურნეობის კვარტალური კვლევა ვერ მოახდენს დევნილთა დეტალური მონაცემთა ბაზის შექმნის შესაძლებლობას, რადგანაც კვლევა ხორციელდება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, სადაც ალბათობა იმისა, რომ დევნილი პირები მოხვდებიან შერჩევაში ძალიან დაბალია (დევნილი პირები შეადგენენ მთლიანი მოსახლეობის 7.2%-ს და მათგან მხოლოდ 23% ცხოვრობს სოფლად). ასევე, საქსტატი მონაცემების გამოქვეყნებას არ ახორციელებს კვარტალურად, არამედ წლიურად.

ამჟამად პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველოს საქსტატიდან მიღებული აქვს მონაცემები მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ბაზიდან.



1.2 კომუნიკაცია

სამინისტროს კომუნიკაციის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის კონკრეტული ქვესათაური ეხება საარსებო წყაროების პროგრამების მიმართულებით განსახორციელებელ ამოცანებს და ეფუძნება საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებს.

2016 წლის I კვარტალში სააგენტომ შეიმუშავა და განახორციელა პირველი საინფორმაციო კამპანია, რომლის მიზანი იყო დევნილთა ჩასახლებებში ინფორმაციის გავრცელება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამების შესახებ და მათი ინტერესის გაღვივება. ამ მიზნის მისაღწევად, სააგენტომ მთელი საქართველოს მასშტაბით განახორციელა 20 საველე შეხვედრა დევნილებთან და ადგილობრივ თემებთან.

საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში საველე ვიზიტები განხორციელდა შემდეგ რეგიონში: სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი და მცხეთა-მთიანეთი.

ვიზიტების დროს მოხდა დევნილთათვის ინფორმაციის მიწოდება დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესახებ. ასევე, აღნიშნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში სააგენტოს მიერ დაგეგმილი საქმიანობის შესახებ.

ივლისი - სექტემბრის პერიოდში სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ განახორციელა რიგით II საინფორმაციო კამპანია (კარდაკარის პრინციპით). კარდაკარის პრინციპით საინფორმაციო კამპანია გულისხმობდა, დევნილთა კოლექტიურ ჩასახლებებში, თითოეულ დევნილ ოჯახთან



პირადად მისვლას და საარსებო წყაროების სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ვერბალურად. ასევე, მათთვის საინფორმაციო ბეჭდური მასალის (ბუკლეტები, ბროშურები) გადაცემას. დევნილთა ჩასახლებები შეირჩა შემდეგი პრინციპით - ჩასახლება სადაც 30 ოჯახი და მეტი დევნილი ოჯახი ცხოვრობს. კამპანიის ჩასატარებლად დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ 3 რეგიონი შეარჩია: სამეგრელო-ზემო სვანეთი, შიდა ქართლი და ქვემო ქართლი. კამპანია განხორციელდა მოხალისეთა ჩართულობით. კამპანიაში სულ 133 მოხალისე მონაწილეობდა (სამეგრელო-ზემო სვანეთი - 80, შიდა ქართლი - 45 და ქვემო ქართლი - 8). მოხალისეებმა პირადად მოინახულეს, და ინფორმაცია გააცნეს 3 000 - მდე დევნილ ოჯახს. გეგმის მიხედვით საინფორმაციო კამპანიის შედეგად, მოხალისეები პირადად 6 000 -მდე დევნილ ოჯახს უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ სამუშაო პროცესში აღმოჩნდა, რომ ზაფხულის ამ პერიოდში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, დევნილების დიდი ნაწილი გადასულია აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის მიღმაა. დევნილთა ნაწილი ასევე, წასულია სოფლად, მოსავლის ასაღებად. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევა, როდესაც დევნილი ჩაწერილია ერთ მისამართზე და რეალურად არ ცხოვრობს იქ. ამიტომ, მოხალისეებს ადგილზე არ დახვდათ დევნილთა ის რაოდენობა, რომელიც თავიდან იყო განსაზღვრული. რამდენიმე მოხალისეს დამატებით მიეცა მისამართი.

მოხალისეობით დაინტერესებულ კანდიდატებს საშუალება ჰქონდათ შეეცნოთ სპეციალური ელექტრონული სააპლიკაციო ფორმა, რომელიც შემუშავდა და ინტერნეტის საშუალებით გავრცელდა, დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ. შევსებული სააპლიკაციო ფორმები განხილულ იქნა და შერჩეულ კანდიდატებს გასაუბრება ჩაუტარდათ, რომლითაც მოხალისეთა საბოლოო შემადგენლობა განისაზღვრა. შერჩეულ მოხალისეებს, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017



წლების სამოქმედო გეგმის და მიმდინარე საარსებო წყაროების სახელმწიფო პროგრამების შესახებ ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგები ჩატარა დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს პროგრამების კოორდინატორმა. საინფორმაციო კამპანიისთვის შემუშავდა სპეციალური შეფასების ფორმა, რომელსაც მოხალისეები დევნილი ოჯახის ერთ-ერთ სრულწლოვან წევრს ავსებინებდნენ. შეფასების ფორმის შევსება იყო ნებაყოფლობითი და მისი ანონიმურობა დაცულია.

საინფორმაციო კამპანიაში მონაწილე მოხალისეთათვის წინასწარ დამზადდა მაისურები და კეპები, რომლებზეც გამოსახული იყო დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ლოგო. მოხალისეები აღნიშნული სამოსით მუშაობდნენ დევნილთა კოლექტიურ ჩასახლებებში, რითაც გამარტივდა მათი იდენტიფიცირება, როგორც დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მოხალისეების.

თითოეულ მოხალისეს დევნილი ოჯახისთვის ინფორმაციის მიწოდებისთვის 30 წუთამდე ჰქონდა გამოყოფილი. მაქსიმალური სამუშაო დღეები, თითო მოხალისისთვის, 5 დღეს, ხოლო დღიური სარგო 15 ლარს შეადგენდა. მოხალისეებს თანხა დაერიცხათ მათ საბანკო ანგარიშებზე, რომლებიც წინასწარ წარმოადგინეს.

სააგენტოს, როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციას, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არ ჰქონდა ტრენინგებზე კვების ხარჯების და კამპანიის მსვლელობისას მოხალისეებს დღიური სარგოს გადახდის უფლება. ასევე, სააგენტოს ლოგოთი დაბრენდილი მაისურების და კეპების დამზადების ხარჯების ანაზღაურების უფლება. სწორედ ამ პრობლემის მოსაგვარებლად, სააგენტომ მოიძია დონორი ორგანიზაცია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი ZRDA, რომელმაც საინფორმაციო კამპანიის ნაწილი დააფინანსა. 31 აგვისტოს გაიმართა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში საინფორმაციო კამპანიაში მონაწილე მოხალისეთათვის, მოხალისეობრივი საქმიანობის დამადასტურებელი სერტიფიკატების გადაცემის ცერემონია.



ღონისძიება გაიმართა ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, რომელსაც ესწრებოდნენ: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მისიის ხელმძღვანელი დაგლას ბოლი, დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორი ირაკლი უჯმაჯურიძე და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია.

27 სექტემბერს გაიმართა შიდა ქართლის და ქვემო ქართლის რეგიონებში საინფორმაციო კამპანიაში მონაწილე მოხალისეთათვის, მოხალისეობრივი საქმიანობის დამადასტურებელი სერტიფიკატების გადაცემის ცერემონია. ღონისძიება გაიმართა ქ. გორში, გორის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში. ღონისძიებას ესწრებოდნენ: დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორი ირაკლი უჯმაჯურიძე და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი ZRDA-ს ხელმძღვანელი ბრაიან კინგი.

საინფორმაციო კამპანიის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა ცენტრალური და რეგიონალური მედიის (ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ გამოცემები), ასევე, სააგენტოს ვებ გვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით.

სექტემბერი-ოქტომბრის პერიოდში სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ განახორციელა რიგით III საინფორმაციო კამპანია. საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში ჩატარდა საარსებო წყაროების ფორუმები, სადაც დევნილებს მიეცათ საშუალება ერთ სივრცეში გაცნობოდნენ და ჩართულიყვნენ მათთვის სასურველ საარსებო წყაროების სახელმწიფო პროგრამაში. ფორუმზე, ყველა მონაწილე სტრუქტურას/ორგანიზაციას გამოყოფილი ჰქონდა ინდივიდუალური კუთხე, სადაც საშუალება ჰქონდა საკუთარი სტრუქტურა/ორგანიზაცია სურვილისამებრ წარმოეჩინა. კამპანიის ძირითად მიზანს



წარმოადგენდა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროში, დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოში და სხვა სახელმწიფო უწყებებში მიმდინარე საარსებო წყაროების სახელმწიფო პროგრამების შესახებ ცნობადობის გაზრდა დევნილ მოსახლეობაში. ასევე, დევნილების საარსებო წყაროების სახელმწიფო პროგრამებში ჩართვის სტიმულირება. ფორუმებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროსთან და დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში ასახული საარსებო წყაროების სახელმწიფო პროგრამების განმახორციელებელი სხვა სტრუქტურებიც. ამასთან, რეგიონში მომუშავე, საარსებო წყაროების პროგრამების განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციები. საარსებო წყაროების ფორუმების ჩატარება დაიწყო 2016 წლის სექტემბერში, იმერეთის რეგიონით, კერძოდ ქ. წყალტუბოთი. ამავე წლის ოქტომბერში ქ. გორში და ქ. ზუგდიდში საარსებო წყაროების ფორუმები სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში საშემოდგომო მიღების პერიოდში ჩატარდა. დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის შეთანხმების შედეგად ფორუმში მონაწილეობდა განათლების სამინისტროს რესურსცენტრის წარმომადგენელი. რესურსცენტრის წარმომადგენელი, დაინტერესების შემთხვევაში, ადგილზე არეგისტრირებდა დევნილებს პროფესიულ სასწავლებლებში საშემოდგომო მიღებაზე. ფორუმებში ასევე მონაწილეობდნენ, რეგიონში არსებული სახელმწიფო პროფესიული დაწესებულებების წარმომადგენლები.

ფორუმებზე დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ, სააგენტოს პროგრამების ამსახველი 1000 ცალი ბროშურა დაარიგა.



ფორუმებში მონაწილე სტრუქტურების/ორგანიზაციების და დამსწრე დევნილთა მიახლოებითი რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა:

იმერეთი - მონაწილე სტრუქტურების/ორგანიზაციების რაოდენობა - 10, დამსწრე დევნილთა რაოდენობა - 150-250;

შიდა ქართლი - მონაწილე სტრუქტურების/ორგანიზაციების რაოდენობა - 12, დამსწრე დევნილთა რაოდენობა - 80-100;

სამეგრელო-ზემო სვანეთი - მონაწილე სტრუქტურების/ორგანიზაციების რაოდენობა - 9, დამსწრე დევნილთა რაოდენობა - 150-250;

ფორუმში მონაწილე ყველა სტრუქტურას/ორგანიზაციას გადაეცა რეგისტრაციის ფორმა, სადაც აღიწერა იმ დევნილთა შესახებ ინფორმაცია, ვინც მიიღო კონსულტაცია კონკრეტული სტრუქტურისგან/ორგანიზაციისგან. გამომდინარე იქიდან, რომ რეგისტრაციის ფორმის შევსება იყო ნებაყოფლობითი, უმეტეს შემთხვევაში დევნილებმა თავი შეიკავეს მისი შევსებისგან. ამიტომ, საარსებო წყაროების ფორუმებზე დამსწრე დევნილთა შეფასების ფორმები არ იძლევა რეალურ სურათს თუ რამდენი ადამიანი დაესწრო აღნიშნულ ღონისძიებას.

III კამპანიის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა რეგიონალური ტელევიზიების, ინტერნეტ საინფორმაციო პორტალების და სოციალური ქსელების საშუალებით.

2016 წლის სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოში მიმდინარეობდა რიგით IV საინფორმაციო კამპანია, ე.წ. შეხსენების კამპანია. საინფორმაციო კამპანიის მიზანს წარმოადგენდა, ქვეყანაში მოქმედი საარსებო წყაროების სახელმწიფო პროგრამების, მათში ჩართვის შესაძლებლობების და სარგებელის შესახებ მოკლე ინფორმაციის სახით დევნილთა ხელახალ ინფორმირებას.

შეხსენების კამპანიის ფარგლებში სააგენტომ გააგზავნა მოკლეტექსტური შეტყობინებები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა მონაცემთა ბაზაში არსებულ მობილური ან „მაგთი ფიქსის“ ნომრებზე.



მოკლეტექსტური შეტყობინებები გაიგზავნა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში ასახული საარსებო წყაროების სახელმწიფო პროგრამების შესახებ.

შეტყობინებები გაიგზავნა შემდეგი სამიზნე ჯგუფების მიხედვით:

- სოციალურად დაუცველ დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამა - სოციალურად დაუცველი დევნილები, 14 წელზე ზემოთ, ბაზაში არსებული ყველა ნომერი;
- აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა დამატებითი სუბსიდირების პროგრამა - ბაზაში არსებული ყველა ნომერი;
- ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები სამუშაოს მაძიებლებისათვის - ბაზაში არსებული ყველა ნომერი, სეგმენტირებული მუნიციპალიტეტების მიხედვით;
- შრომის ბაზრის ინფორმაციის მართვის სისტემა worknet.gov.ge - ბაზაში არსებული ყველა ნომერი;

შეხსენების საინფორმაციო კამპანიის დოკუმენტით გათვალისწინებული იყო მოკლეტექსტური შეტყობინებების გაგზავნა საარსებო წყაროების ყველა სახელმწიფო პროგრამის შესახებ. ამის მიუხედავად, „დევნილთა საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესებისკენ მიმართული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამის“, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამისა“ და „მიკრო და მცირე ბიზნესების მხარდაჭერის პროგრამის“ შესახებ მოკლეტექსტური შეტყობინებები ვერ გაიგზავნა, რადგან 2016 წლის სექტემბრისთვის აღნიშნული პროგრამების ფარგლებში განაცხადების მიღება უკვე დასრულებული იყო. შესაბამისად, არა რაციონალური იქნებოდა სააგენტოს მხრიდან მოკლეტექსტური შეტყობინებების ლიმიტის გახარჯვა დასრულებულ პროგრამებზე. სააგენტოს



გადაწყვეტილებით განსაზღვრული ლიმიტი საარსებო წყაროების სხვა პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას მოხმარდა, რაც წინასწარ არ იყო განსაზღვრული.

კამპანიის ფარგლებში, აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის და სააგენტოს „აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა დამატებითი სუბსიდირების პროგრამის“ შესახებ შეტყობინება გაიგზავნა ბაზაში არსებულ ყველა ნომერზე. (შეტყობინება შეიცავდა სააგენტოს პროგრამის შესახებ მოკლე ინფორმაციას). ასევე სოციალური მომსახურების სააგენტოს პროგრამის - „შრომის ბაზრის ინფორმაციის მართვის სისტემა worknet.gov.ge“-ს შესახებ გაიგზავნა შეტყობინება ბაზაში არსებულ ყველა ნომერზე (გაიგზავნა 3 ჯერ) სოციალური მომსახურების სააგენტოს (შეტყობინება შეიცავდა პროგრამის შესახებ მოკლე ინფორმაციას, მასში ჩართვის საშუალებებს). შეტყობინებები გაიგზავნა სოციალური მომსახურების სააგენტოს კიდევ ერთი პროგრამის შესახებ - „ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები სამუშაოს მაძიებლებისათვის“. გაგზავნა განხორციელდა ერთხელ ბაზაში არსებულ ყველა ნომერთან (შეტყობინება შეიცავდა პროგრამის შესახებ მოკლე ინფორმაციას), ასევე 10 - ჯერ სამიზნე მუნიციპალიტეტის მასშტაბით. (შეტყობინება შეიცავდა ჯგუფური კონსულტაციის ჩატარების შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას - დრო და ადგილი). პროფესიული განათლების ხელშეწყობის შესახებ 6 - ჯერ გაიგზავნა შეტყობინება, საიდანაც 4 - ჯერ კონკრეტულ სეგმენტს, ხოლო 2 - ჯერ ბაზაში არსებულ ყველა ნომერს მიეწოდა ინფორმაცია. ამასთან, ინფორმაციის გავრცელების მიზნით, შეტყობინებები გაიგზავნა III საინფორმაციო კამპანიისთვისაც, კერძოდ, გორის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში და სამეგრელო-ზემო სვანეთში რეგისტრირებულ ნომერებზე (შეტყობინება შეიცავდა ფორუმის ჩატარების შესახებ მოკლე ინფორმაციას). გარდა ამისა, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ თბილისის დასაქმების ფორუმის შესახებ გაიგზავნა შეტყობინება worknet.gov.ge - ზე რეგისტრირებულ დევნილებთან.

ჯამში 2016 წლის განმავლობაში შეტყობინების 25 დაგზავნა განხორციელდა.



სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართულ სახელმწიფო უწყებებთან. 2016 წლის I კვარტალში სააგენტომ ყველა პარტნიორი უწყებიდან შემდგომი გავრცელების მიზნით გამოითხოვა ბეჭდური მასალა. მიღებული საინფორმაციო მასალა ვიზიტების ფარგლებში განთავსდა დევნილთა ჩასახლებებსა და ადგილობრივ გამგეობების საინფორმაციო დაფებზე, ასევე სამინისტროს მისაღებში.

ასევე, სააგენტოში მიმდინარე პროგრამების შესახებ მომზადდა და დაიბეჭდა საინფორმაციო ბროშურა 30000 ცალი.

ჯამში, წლის მანძილზე გავრცელებულია 100 000 - ზე მეტი ბეჭდური საინფორმაციო მასალა (მათ შორის, სააგენტოს პროგრამების ამსახველი ბროშურა - 30 000 ცალი).

სააგენტომ 2016 წლის დასაწყისში გამოითხოვა საინფორმაციო მასალა იმ უწყებებიდან, რომლებიც ჩართულები არიან ზემოთხსენებული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში. მათგან მიღებული საინფორმაციო მასალის გავრცელება მოხდა დევნილებთან საველე შეხვედრებზე, ისევე, როგორც ტერიტორიულ ორგანოებში. ჯამში 2016 წლის განმავლობაში გავრცელდა 100 000 - ზე მეტი ბეჭდური მასალა.

2016 წლის ივნისის ბოლოსათვის, დასრულდა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საინფორმაციო მასალით უზრუნველყოფის პროცესი. კერძოდ, 6300-მდე ბროშურა გაეგზავნა სამინისტროს შიდა ქართლისა და სამცხე ჯავახეთის ტერიტორიულ ორგანოს, 6000 აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიულ ორგანოს, ხოლო 4000 იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ტერიტორიულ ორგანოს. იქიდან გამომდინარე, რომ სამინისტროს ქვემო ქართლისა და კახეთის ტერიტორიული ორგანო გაუქმდა, არ განხორციელებულა მათთვის საინფორმაციო მასალის მიწოდება.

გარდა ამისა, საარსებო წყაროების სახელმწიფო პროგრამების განმახორციელებელი უწყებები (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სასოფლო-სამეურნეო



კოოპერატივების განვითარების სააგენტო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, სოციალური მომსახურების სააგენტო) უზრუნველყოფილი არიან სააგენტოს პროგრამების საინფორმაციო ბროშურებით. თითოეულს დაურიგდა 3200 - 3200 ცალი ბროშურა.

2016 წლის 25 თებერვლიდან 25 მარტამდე პერიოდში UNHCR-ის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) ცხელი ხაზისა და სამინისტროს და UNHCR-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში შექმნილი და ფუნქციონირებადი საჩივრების ცხელი ხაზის პროგრამული გამართვა განხორციელდა.

სამინისტროში მოქმედი მანამდე არსებული პროგრამა ჩანაცვლდა პროგრამით „Queue Matrix“. დაწვრილებით ინფორმაცია განახლებული სისტემის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ ხელმისაწვდომია ანგარიშის სახით.

უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული პროგრამით შესაძლებელია რეპორტირების ეფექტურად, ხარისხიანად და შეუფერხებლად წარმოება, რაც საბოლოოდ სამინისტროს აღნიშნული დანაყოფების საქმიანობას აუმჯობესებს და სამინისტროს ბენეფიციართა მიმართ მომსახურების ხარისხს ზრდის.

სისტემური განახლების პარალელურად, განისაზღვრა ცხელი ხაზის ორი ოპერატორი, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სააგენტოს და ზოგადად საარსებო წყარების სამოქმედო გეგმის ფარგლებში სახელმწიფო პროგრამების შესახებ დევენილებისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე. ცხელი ხაზის, მისაღები ცენტრის და რეგინალური სამსახურების თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ.

2016 წელს ჩატარდა 3 ტრენინგი:

1. ტრენინგთა ტრენინგი; (2016 თებერვალი 1-6; ჩატარდა სამინისტროში;გადამზადდა



22 ადამიანი)

2. ევექტური მომსახურება; 2016 , მარტი 5-6; ჩატარდა სამინისტროში; გადამზადდა 27 ადამიანი(ცხელი ხაზი, მისაღები და რეგიონები)

3. სამინისტროს მომსახურება იძულებით გადაადგილებულ პირებს. (2016, 11-13 მარტი, ჩატარდა ანაკლიაში; ცხელი ხაზი, მისაღები და რეგიონები; გადამზადდა 23 ადამიანი)

ამას გარდა სააგენტომ ცხელი ხაზისა და მისაღები ცენტრის ოპერატორთათვის დაგეგმა და განახორციელა ორი ტრენინგი, რომლებიც ეხებოდა საარსებო წყაროების მიმართულებით მიმდინარე პროექტებს, პროგრამებსა და მათ მიმწოდებლებს. აღნიშნული ტრენინგების შედეგად, გაუმჯობესდა ამ მიმართულებით დევნილთა მომსახურების ხარისხი. კერძოდ, ცხელი ხაზის ოპერატორს აქვს შესაბამისი ცონდა იმ საბაზისო ინფორმაციისა, რაც პირველადი კონსულტაციისათვის არის აუცილებელი. რაც შეეხება კონკრეტულ დეტალებს, ხდება დაინტერესებული დევნილის გადამისამართება შესაბამისი პროგრამის მიმწოდებელ უწყებასთან.

2. საკანონმდებლო ბაზა

განხორციელდა სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული არსებული კანონმდებლობის გადახედვა დევნილთათვის მიწაზე ხელმისაწვდომასთან, საარსებო წყაროების პროგრამების დაწყებისთვის ფინანსურ რესურსებზე წვდომასთან და დამწყები ბიზნესების გადასახადებისაგან გათავისუფლების პოტენციალის შეფასებასთან დაკავშირებით შესაბამის ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით. შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინა სამეთვალყურეო საბჭოს განსახილველად და ამ მიმართულებით მუშაობა კვლავ გაგრძელდება მომავალ წლებშიც დაინტერესებულ მხარეებსა და შესაბამის უწყებებთან ერთად, რათა მოხდეს კანონმდებლობის მისადაგება ცვალებად რეალობასთან.



დევენილთათვის მიწაზე წვდომის შესახებ პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველოს მიერ მომზადებულ იქნა ანალიტიკური დოკუმენტი, სადაც წარმოდგენილ იქნა ამ საკითხებში არსებული გამოწვევები.

პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველოს მიერ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან გამოთხოვილი სტატისტიკური მონაცემების, ასევე უახლესი კვლევებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე შემუშავებულ იქნა ანალიტიკური დოკუმენტი, სადაც იდენტიფიცირებულ იქნა არსებული პრობლემები და შემუშავდა რეკომენდაციები. ანალიტიკური დოკუმენტი წარდგენილ იქნა 2016 წლის 30 ივნისს გამართულ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე.

განსახლების პოლიტიკის გადახედვის მხრივ შემუშავდა ცვლილებები და რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის წარსადგენად. გათვალისწინება 2016 წლის პირველი ორი კვარტლის განმავლობაში ჯამში განხორციელდა 121 ობიექტის თანადაფინანსება (8781 ბინა). 1308 ოჯახზე გამოიცა მთავრობის განკარგულება და 736 ოჯახთან მოხდა ხელშეკრულების გაფორმება. 2015 წელს 5575 ოჯახზე მოხდა სერთიფიკატის გაცემა და 2016 წლის პირველი 6 თვის შედეგი შეადგენს 2015 წლის 12%-ს (სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია 7%-იანი ზრდა).

დევენილთათვის საარსებო წყაროების აქტივობების დასაწყებად ფინანსურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მუშაობის პროცესში ჩართული იყო დევენილთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო სექტორი, რომელთანაც მოხდა აღნიშნული საკითხების განხილვა სხვადასხვა სამუშაო შეხვედრების ფარგლებში. ასევე, მსჯელობა გაიმართა სოციალურ საკითხებზე მომუშავე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების რეგიონალურ თანამშრომლებთან მრავალმხრივი შეხვედრების დროს.



საარსებო წყაროების სამოქმედო გეგმის თანახმად, გათვალისწინებულია არსებული საგრანტო/ვაუჩერების სისტემის გადახედვას განსაკუთრებით მოწყვლადი დევნილებისათვის სუბსიდირებისა და საგრანტო პროგრამებზე ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. სააგენტომ შეისწავლა მიმდინარე პროგრამები აღნიშნული ცვლილების განსახორციელებლად სულ მცირე ერთი პროგრამის გამოვლენის მიზნით.

ამას გარდა, როგორც სამინისტროს და ისე სააგენტოს მცდელობების შედეგად ამ პროცესში ჩაერთო ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის, დევნილთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები.

შედეგად იდენტიფიცირდა ერთი მიმდინარე პროგრამა, რომლის პირობები 2017 წელს შეიცვლება იმდაგვარად, რომ მორგებული იყოს განსაკუთრებით მოწყვლადი დევნილების საჭიროებებზე.

3. დასაქმების სერვისები და სოფლად თვითდასაქმება სახელმწიფო პროგრამებით

სააგენტო დევნილთა დასაქმების მიზნით თანამშრომლობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან. 2016 წლის მანძილზე სააგენტოს თანამშრომლების მიერ სამუშაოს მაძიებელთა ერთიან ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირდა 141 დევნილი, რომელთაგან 77 ქალია.

2016 წლის მესამე კვარტალში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ „სამუშაოს მაძიებელთა ტრენინგისა და გადამზადების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გამოაცხადა მოსარგებლეთა მიღება. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული საინფორმაციო კამპანიისგან დამოუკიდებლად, სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ განახორციელა დევნილთა



სამიზნე ჯგუფზე ორიენტირებული საინფორმაციო კამპანია, რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაცია მოცემულია 1.2 ქვეთავში.

2016 წელს „სამუშაოს მაძიებელთა ტრენინგებისა და გადამზადების სახელმწიფო პროგრამას“ ჰყავს 2053 ბენეფიციარი. მიუხედავად განხორციელებული საინფორმაციო კამპანიისა, აღნიშნულ პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა 7,5%-ს (156 დევნილი) წარმოადგენენ დევნილები. პროგრამაში ჩართულ დევნილთა 70% (110 დევნილი) ქალია, ხოლო 30% (46 დევნილი) კი კაცი.

სააგენტო ჩართულია დასაქმების მაძიებელ დევნილთა ჯგუფურ კონსულტაციებში მონაწილეობის ხელშეწყობაში. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წლიური გეგმით გათვალისწინებული აქვს კვარტალში ერთი ჯგუფური კონსულტაციის ჩატარება ტერიტორიული ერთეულების მიხედვით. სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2016 წელს ჯგუფური კონსულტაციებით მოსარგებლე დევნილთა რაოდენობა გაზრდილ უნდა იქნეს 400%-ით, რისი მიღწევაც, კვარტალში ერთხელ გამართული კონსულტაციების შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, შედგა თანამშრომლობა ორ სააგენტოს შორის და მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ დევნილთაგან დაკომპლექტებული ჯგუფებისათვის დამატებით განახორციელა ჯგუფური კონსულტაციები. საარსებო წყაროების სააგენტომ უზრუნველყო დევნილთა მობილიზება და მათი ინფორმირება კონსულტაციის ჩატარების ადგილისა და დროის შესახებ. კონსულტაციები გაიმართა მთელი საქართველოს მასშტაბით.

2016 წელს აღნიშნულ პროგრამაში ჩართული იყო 430 იძულებით გადაადგილებული პირი. მათ შორის 324 (75.4%) ქალია. 2015 წლის მონაცემებით აღნიშნულ პროგრამაში ჩართული იყო 44 დევნილი. 2016 წლის მიზანი მიღწეულია გადაჭარბებით. 2016 წელს რაოდენობა გაზრდილია 877% -ით.

უკვე მესამე წელია სამინისტრო წარმატებით ახორციელებს „სოფლად სახლის“ პროგრამას, რომლის მიხედვითაც დევნილებს საშუალება აქვთ აირჩიონ მათთვის



სასურველი სახლი სოფლად მიწის ნაკვეთთან ერთად, რომლის შესყიდვაშიც ეხმარება მათ სახელმწიფო ზღვრული თანხის ფარგლებში.

აღნიშნული პროგრამის ერთ-ერთი განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ განსახლებით დაკმაყოფილებასთან ერთად დევნილებს უჩნდებათ შემოსავლების წყარო, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაწყებისა და შემოსავლის მიღების გზით. სამოქმედო გეგმის მიხედვით 2016 წელს უნდა მომხდარიყო მინიმუმ 200 ასეთი სახლის შესყიდვა. 2016 წელს გადაჭარბებით იქნა შესრულებული სოფლად სახლების შესყიდვის პროგრამა.

4. განათლება და გადამზადება დასაქმების ხელშესაწყობად

2016 წელს სამინისტრომ სააგენტოს ინიციატივით გააფორმა მემორანდუმი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებულ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან. აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე, წლის განმავლობაში რამდენჯერმე განხორციელდა მონაცემთა ბაზების დადარება და 2016 წელს სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ დევნილთა იდენტიფიცირება. 2016 წელს როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხულო მიღებებზე, ჯამში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხა 872 დევნილი. მათ შორის 386 (44,3%) ქალია. ჩარიცხულ დევნილთა რაოდენობა გაზრდილია 54,4% -ით.

უკიდურესად მოწყვლად დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით, სააგენტო ახორციელებს „სოციალურად დაუცველ დევნილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამას,“ რომელიც საარსებო წყაროების სააგენტოს მმართველმა საბჭომ მიმდინარე წლის 14 ივნისს დაამტკიცა. პროგრამა მიმდინარე



წლის ივნისის შუა რიცხვებიდან ამოქმედდა. პროგრამით გათვალისწინებულია კონკრეტული კრიტერიუმები, რომლითაც ხელმძღვანელობს პროგრამის ადმინისტრირების მიზნით შექმნილი კომისია. პროგრამით გათვალისწინებულია 2016 წელს სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სოციალურად დაუცველ დევნილთა მხარდაჭერა, კერძოდ, ტრანსპორტირების ან საცხოვრებელი ფართის ქირის ხარჯების ანაზღაურება.

პროგრამის თანახმად, განმცხადებელი აუცილებლად უნდა იყოს დევნილი, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, უნდა სწავლობდეს სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პროგრამის სამიზნე ბენეფიციარები არიან მხოლოდ ის სოციალურად დაუცველი დევნილები, რომლებმაც 2016 წელს ჩააბარეს მისაღები გამოცდები და გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

პროგრამის შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, სამინისტრომ, სააგენტოს ინიციატივით გააფორმა მემორანდუმი სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან. აღნიშნულის საფუძველზე, ხდებოდა ინფორმაციის დროული გაცვლა, რაც ხელს უწყობდა პროგრამის განხორციელებას.

ამასთანავე, სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობს ყველა იმ სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, სადაც პროგრამის პოტენციური ბენეფიციარები ირიცხებიან. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, გაფორმდა მემორანდუმი ყველა სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, სადაც 2016 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებაზე ჩაირიცხნენ სოციალურად დაუცველი იძულებით გადაადგილებული პირები.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა და მოკლე აღწერა ელექტრონულ ფოსტაზე გაეგზავნა ყველა იმ სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, სადაც საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღების შედეგად ჩაირიცხნენ სოციალურად დაუცველი დევნილები. ასევე, პროფესიულ სასწავლებლებს გაეგზავნათ განაცხადის



ფორმა, რომელიც უნდა შეავსოს პროგრამაში ჩართვის მსურველმა იძულებით გადაადგილებულმა პირმა.

აღნიშნული თანამშრომლობის შედეგად, საგანმანათლებლო დაწესებულებები აქტიურად არიან ჩართულნი განაცხადების შევსების პროცესში.

საერთო ჯამში, 2016 წელს საგაზაფხულო მიღებაზე პროფესიულ კოლეჯებში ჩაირიცხა 266 სოციალურად დაუცველი დევნილი. ჩარიცხულთაგან 116-მა მხარდაჭერის მისაღებად უკვე მომართა სააგენტოს. განაცხადების მიღება და კომისიური წესით განხილვა უწყვეტ რეჟიმში კვლავ გრძელდება. პროგრამის ადმინისტრირებისათვის შექმნილი კომისიის სხდომები იმართება თვეში ორჯერ. 2016 წელს დაფინანსდა 32 ბენეფიციარი. პროგრამა გრძელდება 2017 წელსაც.

სააგენტო საინფორმაციო შეხვედრების დროს უზრუნველყოფს დევნილების ინფორმირებას, როგორც აპლიკაციის პროცედურებსა და პროგრამების შესახებ, ისე სტიპენდიებისა და აპლიკაციის პირობების შესახებ.

2016 წლის მარტში სააგენტოს თანამშრომლებმა პროფესიული კოლეჯ იკაროსის წარმომადგენელთან ერთად წეროვნის ჩასახლებაში მცხოვრებ დევნილებთან გამართეს საინფორმაციო შეხვედრა. აღნიშნულ შეხვედრაზე, დევნილებს მიეწოდათ ინფორმაცია, როგორც ჩარიცხვის პროცედურების, ისე სტიპენდიების შესახებ. გარდა ამისა, სააგენტოს თანამშრომლებმა ამ პერიოდში გამართეს 20-მდე შეხვედრა დევნილებთან, სადაც სხვა პროგრამებთან ერთად, დევნილებს გააცნეს პროფესიულ კოლეჯებში ჩარიცხვის პროცედურები და პროგრამები, რომლებზეც საგაზაფხულო მიღებაზე იყო შესაძლებელი განაცხადის გაკეთება. ამას გარდა, პროფესიული განათლების დაწესებულებების პროგრამებისა და პროცედურების შესახებ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მიმდინარე წლის 8 ივნისს გაიმართა ერთობლივი შეხვედრა თეთრიწყაროს რაიონ სოფელ კოდის #1 საჯარო სკოლაში პროფესიული სასწავლებლის „მოდუსი“ - ს ადმინისტრაციასთან ერთად. შეხვედრას ესწრებოდა 50-მდე მეცხრე კლასისა და დამამთავრებელი კლასის მოსწავლე.



შეხვედრის დროს, ყურადღება გამახვილდა არა-ტრადიციულ პროფესიებზე ქალთა ჩარიცხვის საკითხზეც.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებითა და სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მონაწილეობით, შედგა რამდენიმე რადიო ეთერი, როგორც პროფესიული განათლების პროგრამებისა და ჩარიცხვის, ისე სააგენტოს „სოციალურად დაუცველ დევნილთა პროფესიული განათლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფართო მასშტაბისათვის გაცნობის მიზნით.

II და III საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, სხვა საარსებო წყაროების პროგრამებთან ერთად, პროფესიული განათლების პროგრამების შესახებაც გავრცელდა დეტალური ინფორმაცია. კამპანიების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ 1.2 ქვეთავში.

გარდა ამისა, IV საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, პროფესიული განათლების ხელშეწყობის შესახებ 6 - ჯერ გაიგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინება, საიდანაც 4 - ჯერ შეტყობინება გაეგზავნა კონკრეტულ სემინტს (14 წელზე ზემოთ სოციალურად დაუცველი დევნილები), ხოლო 2 - ჯერ ბაზაში არსებულ ყველა ნომერს მიეწოდა ინფორმაცია. შეტყობინებების დაგზავნა დაიწყო საშემოდგომო მიღების დაწყებამდე ერთი თვით ადრე. შეტყობინებები შედგებოდა სააგენტოს პროგრამის, საშემოდგომო მიღების დაწყება-დასრულების, პროფესიულ პროგრამებზე დარეგისტრირების შესახებ ინფორმაციას. დეკემბრის თვეში სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებში ჩარიცხულ დევნილებს, შეხსენების მიზნით, დაეგზავნათ სააგენტოს პროგრამის შესახებ ინფორმაცია.



5. საარსებო წყაროების პროგრამებზე ხელმისაწვდომობა

2016 წელს სააგენტო აქტიურად თანამშრომლობდა ა(ა)იპ სასოფლო-სამეურნეო პროექტების მართვის სააგენტოსთან აგროდაზღვევის პროგრამაში ჩართვის მსურველ დევნილთა ხელშეწყობის მიზნით. სააგენტომ პროგრამის შემუშავებისას იხელმძღვანელა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამით დადგენილი პირობებით. პროგრამის შემუშავების პროცესში სააგენტო აქტიურად თანამშრომლობდა, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროექტების მართვის სააგენტოსთან, ისე პროგრამის განხორციელებაში ჩართულ სადაზღვევო კომპანიებთან, რა მიზნითაც დაგეგმა და განახორციელა რამდენიმე შეხვედრა პარტნიორ ორგანიზაციებთან.

მიმდინარე წლის 25 მაისს სააგენტომ მმართველ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა "აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ დევნილთა დამატებითი სუბსიდირების პროგრამა." აღნიშნული პროგრამის მიხედვით, დევნილს, რომელიც ფლობს 5ჰა რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში უფინანსებს დამატებით 10% (მაქსიმუმ 200 ლარის ოდენობით). საერთო ჯამში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მფლობელ დევნილს ორივე სააგენტოს ძალისხმევით უნაზღაურდება სადაზღვევო პაკეტის წლიური ღირებულების 90%. დევნილ ბენეფიციართა იდენტიფიცირების მიზნით, გაფორმდა მემორანდუმი სასოფლო-სამეურნეო პროექტების მართვის სააგენტოსთან. სააგენტოში პროგრამის ადმინისტრირების მიზნით შექმნილია სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობა დამტკიცებულია სააგენტოს დირექტორის ბრძანებით. კომისია ხელმძღვანელობს პროგრამის მიხედვით გაწერილი კრიტერიუმებით.

2016 წელს აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული იყო 223 დევნილი, რომელთაგან 30-მა მომართა დამატებითი სუბსიდის მისაღებად მომართა სააგენტოს. მიუხედავად აქტიური საინფორმაციო კამპანიისა, აგროდაზღვევის



სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ დევნილთა ძირითადმა ნაწილმა თავი შეიკავა სააგენტოს პროგრამაში ჩართვისგან, რიგი მიზეზების გამო. ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, განხორციელებული კვლევის თანახმად, სახელდება ასანაზღაურებელი თანხის სიმცირე.

დევნილთა საარსებო წყაროების გაუმჯობესების მიზნით, 2016 წლის I კვარტალში სააგენტომ შეიმუშავა საგრანტო პროგრამა. საგრანტო კონკურსის გამოცხადებამდე, სააგენტომ ორგანიზება გაუკეთა პროგრამის სამიზნე რეგიონებში მოქმედ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრებს და გააცნო მათ პროგრამის ძირითადი ასპექტები. საგრანტო კონკურსის გამოცხადების შემდეგ, სააგენტომ ღია კარის დღეზე უმასპინძლა ყველა დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციას. აღნიშნულ შეხვედრას დაესწრო დაახლოებით 30 დაინტერესებული ორგანიზაცია.

პროგრამის შემუშავების დროისათვის, სააგენტოს კანონით არ ჰქონდა მინიჭებული გრანტის გაცემის უფლება. აქედან გამომდინარე, სამინისტროს სახელით (და არა სააგენტოს სახელით) გამოცხადდა საგრანტო კონკურსი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის და I-ვე კვარტალში გამოვლინდნენ გამარჯვებულები. საგრანტო განაცხადები და წინადადებები შეფასდა წინასწარ დადგენილი და შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირების მიზნით, მინისტრის ბრძანებით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც გამოავლინა გამარჯვებული ორგანიზაციები.

კანონმდებლობის მიხედვით დადგენილი პროცედურების გავლის შემდეგ, მიმდინარე წლის 31 მაისს მოეწერა ხელი ხელშეკრულებებს გამარჯვებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებმაც პროექტების განხორციელება დაიწყეს 1 ივნისიდან. ივნისის თვეში განახორციელეს პროექტების საინფორმაციო კამპანია სამიზნე რეგიონებში. ორგანიზაციები პროგრესის შესახებ ანგარიშს წარმოადგენდნენ ყოველთვიურად. სააგენტო კი, როგორც ამ პროგრამის ტექნიკურ



მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი უწყება, ახორციელებდა პროგრამის მონიტორინგს. პერიოდულად, სააგენტო მონიტორინგის დასკვნებს უთანხმებდა პროგრამის ადმინისტრირებისთვის შექმნილ კომისიას და შეიმუშავებდა რეკომენდაციებს, რომლებიც ეცნობებოდა პროექტის განმახორციელებელ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

2016 წელს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში თანამონაწილეობრივი გრანტი გაიცა 259 ბენეფიციარზე, რომელთაგან 132 (50,9%) ქალია. ბენეფიციართა შერჩევის დროს პრიორიტეტი მიენიჭა სამინისტროს მიერ საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებულ დევნილებს, რათა განხორციელდეს განსახლებით დაკმაყოფილებული დევნილების სწრაფი და მდგრადი ინტეგრაცია საცხოვრებელ ადგილებზე. პროგრამის თანახმად, ბენეფიციარის თანამონაწილეობა იყო მინიმუმ 30%. რიგ შემთხვევებში, პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა თანამონაწილეობა იყო მეტიც. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ბენეფიციართა მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ მოწყვლადი დევნილები (სოციალურად დაუცველები, მრავალშვილიანი, მარჩენალდაკარგული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ა.შ).

პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა როგორც სასოფლო სამეურნეო, ისე თვითდასაქმებაზე ორიენტირებული სოციალური ინიციატივები.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან ერთად განხორციელდა დაახლოებით ათი საველე ვიზიტი დევნილთა ჩასახლებებში. საველე ვიზიტები განხორციელდა როგორც I, ისე II კვარტალში. ვიზიტების დროს დევნილები ეცნობიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების არსს და მიმდინარე შესაძლებლობებს. ამასთანავე, ვიზიტების ფარგლებში გავრცელდა აგროდაზღვევის სახლემწიფო პროგრამის შესახებ მომზადებული 1000 ცალი ფლაერი, როგორც დევნილთა დასახლებებში და ადგილობრივ მუნიციპალიტეტების საინფორმაციო დაფებზე, ისე სამინისტროს ტერტიტორიული ერთეულების ოფისებში.



ამ ეტაპზე დევნილთა მიერ ან დევნილთა ჩართულობით შექმნილია 157 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელშიც საერთო ჯამში გაწევრიანებულია 444 იძულებით გადაადგილებული პირი. მათ შორის 180 ქალი (40,5 %) და 264 კაცია. სახეზეა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ჩართულ დევნილთა რაოდენობის 88%-იანი ზრდა. 2016 წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან ერთად, განხორციელდა ერთობლივი საველე ვიზიტები კოოპერატივებში გაწევრიანებულ დევნილთა მონიტორინგის მიზნით.

„მიკრო და მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამაში“ მონაწილეობის მსურველებს საშუალება ჰქონდათ ბიზნეს გეგმები წარედგინათ 2016 წლის 10 აპრილამდე. საარსებო წყაროების სააგენტომ ჩაატარა ინტენსიური საინფორმაციო კამპანია და I კვარტალში, რომლის ფარგლებშიც განახორციელა 20 საველე ვიზიტი. საველე ვიზიტების დროს სააგენტომ უზრუნველყო დევნილთა ინფორმირება აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ.

2016 წელს მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 135 დევნილი. მათ შორის 61 (45%) ქალია. 2015 წელთან შედარებით პროგრამაში ჩართულ დევნილთა რაოდენობა გაზრდილია 200%-ით.



V. ეკომიგრანტები

სხვადასხვა სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად სამინისტროში ფუნქციონირებს ეკომიგრანტთა საკითხებზე მომუშავე დეპარტამენტი. 2013 წლის 13 ნოემბერს გამოიცა მინისტრის N779 ბრძანება, რომლითაც განისაზღვრა ეკომიგრანტი ოჯახების დეფინიცია, განისაზღვრა ეკომიგრანტი ოჯახების განსახლების პროცედურები. ჩამოყალიბებული მიდგომის შესაბამისად, ბენეფიციარ ოჯახებს ეძლევათ საშუალება თავად მოიძონ და შესასყიდად წარმოადგინონ საცხოვრებელი სახლი საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე, რომელიც იქნება მათ მოთხოვნილებებსა და საჭიროებებზე მორგებული.

ეკომიგრანტი ოჯახების განსახლების შესახებ გადაწყვეტილებას „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების საკითხების მარეგულირებელ კომისია“ იღებს, კომისიის მუშაობაში ჩართულნი არიან როგორც სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, ასევე სახალხო დამცველის ოფისი და სხვადასხვა ავტორიტეტული ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები.

აღსანიშნავია, რომ შესყიდული საცხოვრებელი სახლი პირდაპირ საკუთრებაში ურეგისტრირდება ეკომიგრანტ ოჯახს, განსხვავებით წინა წლებისგან. როდესაც საცხოვრებელი სახლები სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდა.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის #996 განკარგულების საფუძველზე სამინისტრომ განახორციელა პროექტი „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის მიზნით მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების თაობაზე“.



პროექტის ფარგლებში, განახორციელდა 2004-2012 წლებში შესყიდულ საცხოვრებელ სახლებში განსახლებული ოჯახების აღწერა/მონიტორინგი. ასევე, მომზადდა აღნიშნული სახლებისა და მიწის ნაკვეთების აზომვითი საკადასტრო ნახაზები, რის საფუძველზეც მოხდა უძრავი ქონების ხელახალი რეგისტრაცია სახელმწიფო საკუთრებად.

2016 წელს ჯამში, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის N 384 განკარგულებით, პირდაპირი მიყიდვის წესით (1 ლარად) საცხოვრებელი სახლი საკუთრებაში გადაეცა 311 ეკომიგრანტ ოჯახს.

სამინისტროსა და ევროკავშირის მჭიდრო თანამშრომლობით, „სამინისტროში მიმდინარე პროცესებზე ორიენტირებულული ტექნიკური დახმარების“ პროექტის ფარგლებში, შეიქმნა მონაცემთა ბაზის პროგრამული უზრუნველყოფა და მუნიციპალიტეტებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის ფორმირება.

2016 წლიდან სამინისტროში სრული დატვირთვით ფუნქციონირებს „სტიქიური მონაცემების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტი) ოჯახების ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზა“, რომელშიც განთავსდა ყველა ის მონაცემი, რაც ინახებოდა სამინისტროში. გარდა ამისა, მიმდინარეობს ინფორმაციის გამოთხოვა მუნიციპალიტეტებიდან ეკომიგრანტი ოჯახების შესახებ.

2016 წელს წლის მანძილზე შესყიდული იქნა და შესაბამისად ეკომიგრანტი ოჯახებისთვის გადაცემულ იქნა 93 საცხოვრებელი სახლი.

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს, პირველად ევროკავშირის დაფინანსებით დაიწყო პროექტი „ეკომიგრანტი და პოტენციური ეკომიგრანტი ოჯახების ადვოკატირების



კამპანია“, რომელსაც ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის ინსტიტუტი“ და რომლის მიზანია, ეკომიგრანტებისა და პოტენციური ეკომიგრანტი ოჯახების სამართლებრივი და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში, სამინისტროსთან ერთად, დაგეგმილია სამუშაო შეხვედრები, როგორც „დაზარალების“ ასევე „განსახლების“ მუნიციპალიტეტებში.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს სამინისტროსთან პარტნიორობით ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა)“ ახორციელებდა სარეინტეგრაციო პროგრამებს კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონში ჩასახლებული ეკომიგრანტი ოჯახებისათვის. აღნიშნული პროექტის დასრულება იგეგმება 2017 წლის აპრილში.

VI. მიგრანტები, რეპატრიანტები, ლტოლვილები

1. საერთაშორისო დაცვა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო საქართველოში შემოსული თავშესაფრის მაძიებელთათვის საერთაშორისო დაცვის მიმნიჭებელი უწყებაა. ამდენად, სამინისტრო აქტიურად მუშაობს როგორც თავშესაფრის საკითხების საკანონდებლო ბაზის სრულყოფაზე, ასევე საკანონდებლო ნორმების პრაქტიკაში იმპლემენტაციისა და თავშესაფრის მაძიებელი თუ სტატუსის მქონე პირთა უფლებრივი გარანტირებისთვის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს 2011 წელს მიღებული საქართველოს კანონი „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონეების შესახებ“ რომელიც 2016 წლის 2016 წლის 15 დეკემბრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით. აღსანიშნავია, 1951 წლის გაეროს კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და ამ კონვენციის 1967 წლის დამატებითი ოქმი.



2013 წლიდან, თავშესაფრის სისტემის სამართლებრივი ჩარჩოს განვითარების მხრივ საქართველო აქტიურად ახორციელებს „ასოცირების შესახებ შეთანხმებით“, „ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმითა“ და „2013-2015 წწ. მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესის უზრუნველსაყოფად 2015 წელს განხორციელდა მთელი რიგი საკანონმდებლო თუ ინსტიტუციური ცვლილებები, ისევე როგორც გაძლიერდა თავშესაფრის მაძიებელთა და სტატუსის მქონე პირთა დაცვისა და ინტეგრაციის სამართლებრივი გარანტიები.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სამინისტროს მიერ მომზადდა „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მიღებულ იქნა 2016 წლის პირველ დეკემბერს. აღნიშნული კანონი განსაზღვრავს:

- ცხოელისა და იმ მოქალაქეობის არმქონე პირის, რომელიც არ არის საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი (შემდგომ – მოქალაქეობის არმქონე პირი), საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლას და ყოფნას, რომლებმაც კანონის შესაბამისად მოითხოვეს საერთაშორისო დაცვა, აგრეთვე მათ მიმართ მოპყრობის სტანდარტებს;
- თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირისა და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სამართლებრივ მდგომარეობას, უფლება-მოვალეობებს და სოციალურ-ეკონომიკურ გარანტიებს;
- უცხოელისა და მოქალაქეობის არმქონე პირისათვის საქართველოში ლტოლვილის, ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, გაუქმებისა და ჩამორთმევის და შესაბამისი სტატუსიდან გამორიცხვის საფუძვლებსა და პროცედურებს;
- სახელმწიფო უწყებათა კომპეტენციებს თავშესაფრის პროცედურის უზრუნველყოფის სფეროში.



1. 2017 წლის 1 თებერვლიდან, ამოქმედდა კანონქვემდებარე აქტებში შესატანი ცვლილებები, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე: „თავშესაფრის პროცედურა“
2. „თავშესაფრის პროცედურაში ჩართული თარჯიმნის ქცევის წესები“
3. „კონსულტაციის ჩატარების ოქმის ფორმა“
4. „საერთაშორისო დაცვაზე განცხადების ფორმა“
5. „ანკეტირების პროცედურაზე გამოცხადების თაობაზე თავშესაფრის მაძიებლისათვის შეტყობინების ფორმა“
6. „ანკეტირების პროცედურაზე გამოცხადების თაობაზე თავშესაფრის მაძიებლის მეურვის/მზრუნველის/ მხარდამჭერისათვის შეტყობინების ფორმა“
7. „საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობის თაობაზე განცხადების ფორმა“
8. „საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობის სამართლებრივი შედეგების თაობაზე ოქმის ფორმა“
9. „საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობის შემდეგ, საერთაშორისო დაცვის განმეორებით მოთხოვნის თაობაზე განცხადების ფორმა“
10. „თავშესაფრის მაძიებლის ანკეტის ფორმა“
11. „თავშესაფრის მაძიებლის ოჯახის წევრის ანკეტა“
12. „საკონტროლო სია ანკეტირებისთვის“
13. „საკონტროლოს სია გასაუბრებისათვის“
14. სტატუსის დადგენის გასაუბრების ოქმის ფორმა“
15. „წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების სტანდარტული ოპერაციული პროცედურები“
16. „საერთაშორისო დაცვაზე განმეორებითი განცხადების ფორმა“
17. „ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე განცხადების ფორმა“



18. „ჰუმანიტარული სტატუსის შეწყვეტის თაობაზე განცხადების ფორმა“
„დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე
განცხადების ფორმა“

1.1 სამართლებრივი ჩარჩო

- ცვლილებები შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც მოიცავს: 1) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე თავშესაფრის მაძიებელი პირის უკანონო შესვლის დაუსჯელობას, როდესაც მოცემული პირები შემოდიან უშუალოდ იმ ქვეყნიდან, სადაც მათ საფრთხე ემუქრებათ (მუხლი 322¹); 2) გაყალბებული საბუთებით საქართველოში შემოსული თავშესაფრის მაძიებლების დაუსჯელობის ნორმის გათვალისწინებასაც, როდესაც მოცემული პირები შემოდიან უშუალოდ იმ ქვეყნიდან, სადაც მათ საფრთხე ემუქრებათ(მუხლი 362, ნაწილი 3); 3) ასევე, საქართველოში შემოსული თავშესაფრის მაძიებლის საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო ყოფნის დაუსჯელობას, როდესაც მოცემული პირი შემოვიდა უშუალოდ იმ ქვეყნიდან, სადაც მას საფრთხე ემუქრება (მუხლი 344). აღნიშნული ცვლილებები უკვე შევიდა ძალაში.
- საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილების მიხედვით, თავშესაფრის მაძიებლების მიერ მათთვის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ვადა გაიზარდა 15 დღემდე, ხოლო სასამართლოში თავშესაფრის საკითხებზე საქმის განხილვის ვადა შემცირდა 2 თვემდე. ასევე, თავშესაფრის მაძიებელთა საკითხების განხილვა სამი ინსტანციის სასამართლოდან შემცირდა 2 ინსტანციამდე. იმისთვის რომ მოხდეს თავშესაფრის მაძიებელთა გასაჩივრების უფლებისა და სასამართლოსთვის მიმართვის უფლების გარანტირება, სამინისტროს მიერ ხდება სტატუსის მიღების შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთების თარგმნა (სახელმწიფო ბიუჯეტიდან) პირის მშობლიურ ენაზე და უფასო იურიდიული დახმარება. გადაწყვეტილება თავშესაფრის მაძიებლის შესახებ ასევე შეიცვას



დეტალურ ინფორმაციას გასაჩივრების დროსა და სასამართლოს მისამართის შესახებ (ეს ინფორმაციაც წერილობით თავის ენაზე ეცნობება თავშესაფრის მაძიებელს.)

- 2016 წლის 1 იანვრიდან, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლის საფუძველზეც თავშესაფრის მაძიებლებს, ლტოლვილებსა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ ხარისხიანი, კვალიფიციური და უფასო იურიდიული დახმარებით და სასამართლოში წარმომადგენლობით სააპელაციო პროცედურებისას.
- საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის 1-ლ დეკემბერს მიიღო საკანონმდებლო პაკეტი, რომლითაც დარეგულირდა საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა უფლება-მოვალეობები. ამასთან, სათანადო ცვლილებები განხორციელდა „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1-ლ თებერვალს. ამჟამად, მიმდინარეობს კანონქვემდებარე აქტებში შესაბამისი ცვლილებების პაკეტის მომზადება, მათ შორის ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის სამგზავრო პასპორტის სტიკერის ფორმის დამტკიცება და შესყიდვისათვის საჭირო პროცედურები.
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 02 ივნისის N238 დადგენილებით დამტკიცდა „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“, რომლის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებით და/ან სამუშაო ადგილებზე შემდგომი სტაჟირებით მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა.



1.2 თავშესაფრის მაძიებელთა განთავსების შესაძლებლობების გაზრდა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში 2010 წლიდან ფუნქციონირებს 60 ადამიანზე გათვლილი თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებისა და განთავსების ცენტრი. ცენტრი მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

თავშესაფრის მაძიებელთა მზარდი ნაკადიდან გამომდინარე, თავშესაფრის მაძიებელ პირთა დროებითი განთავსების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, თბილისში აშშ-ს საელჩოსა და სამინისტროს ურთიერთთანამშრომლობით, 2014 წლის 20 თებერვალს აშშ-ის ევროპული სარდლობის (EUCOM) ხელმძღვანელობით, აშშ-ის თავდაცვის თანამშრომლობის ოფისის (ODC) გამოეყო თანხა მარტყოფის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის დამატებითი შენობის მშენებლობისათვის. ახალი ცენტრი გათვლილია 72 ადამიანზე. 2014 წლის 7 აგვისტოს ხელი მოეწერა მემორანდუმს „აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის ჰუმანიტარული დახმარების პროექტი: თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრი მარტყოფში“.

მეორე შენობის მშენებლობა დასრულდა 2015 წლის ბოლოს და მიმდინარეობს მისი კეთილმოწყობა. 2015 წელს სამინისტროში შექმნილი ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის გასაცემი შემწეობების დამდგენი კომისიის გადაწყვეტილებით, ალტერნატიული საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნით, ხდება თავშესაფრის მაძიებელთათვის, საცხოვრებელი ფართის საქირავებლად ნაღდი ფულის გაცემა.

1.3 საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ინტეგრაცია

ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობის მხრივ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა, კერძოდ:



1.3.1 განათლება

2. „ზოგადი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, თავშესაფრის მამიებლები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები ზოგადი განათლების სფეროში სარგებლობენ ისეთივე უფლებით, როგორც საქართველოს მოქალაქეები;
3. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 იანვრის #15 დადგენილებით, განისაზღვრა თავშესაფრის მამიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ქართული ენის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შესაძლებლობა. დოკუმენტი ითვალისწინებს აღნიშნული კატეგორიისთვის:
 - ქართულ ენის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას იმ დონეზე, რომელიც აუცილებელია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად;
 - პროგრამის დაძლევის შემთხვევაში, შესაბამის კლასში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას;
 - ზოგადი განათლების მიღებისთვის აუცილებელი გრიფირებული სახელმძღვანელოს გამოყოფას
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 3 თებერვალის №2-5 დადგენილებით, საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, მოხდა თავშესაფრის მამიებლის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სკოლამდელი ასაკის შვილებისთვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს „საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო ქვეპროგრამას“. ქვეპროგრამის მიზანია თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე არასრულწლოვანთათვის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება და დაფინანსება, ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) იმ დონეზე შესაძენად, რომელიც აუცილებელია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად; აღნიშნულ პროგრამას ახორციელებს სსიპ ქალაქ თბილისის N81 საჯარო სკოლა და ქართულ ენას ასწავლის 7 კვალიფიციური პედაგოგი. ჩარიცხული 69 მოსწავლიდან პროგრამა წარმატებით დაასრულა (ტესტირება, გასაუბრება) 11-მა ბენეფიციარმა.

2016 წლის 29 დეკემბერს ჩატარდა გამოცდა გასაუბრება პროგრამის მონაწილე მსმენელებისათვის. სკოლის დირექტორის ბრძანებით, შეიქმნა საგამოცდო კომისია და განისაზღვრა გამოცდისა და კონსულტაციების განრიგი. საგამოცდო დავალებები შედგენილი იქნა ისე, რომ შეემოწმებინა მსმენელები სამი მიმართულებით: წერა, ზეპირმეტყველება, კითხვა/მოსმენა. გამოცდის შედეგების საფუძველზე პროგრამა (ორი სემესტრი) წარმატებით დაძლია 20 ბენეფიციარმა. დანარჩენი ბენეფიციარები გამოცდაზე არ გამოცხადდნენ.

საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020 წ.წ.) და განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების დოკუმენტის შესაბამისად, მნიშვნელოვანია ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების მეთოდოლოგიის დახვეწა, რაც დადებითად აისახება ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარებაზე. აღნიშნულის განსახორციელებლად, დასრულდა მუშაობა მიღებული ფორმალური განათლების ჩათვისისა და



არაფორმალური განათლების აღიარების წესის პროექტზე. შემუშავდა არაფორმალური განათლების აღიარების კონცეფცია და ასევე მზად არის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესში შესატანი ცვლილებების პროექტი. შემუშავდა შესაბამისი მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც განხორციელდა არაფორმალური განათლების აღიარების პილოტირება 3 პროგრამაზე: მეფუტკრე, აგრარული ტექნიკის მექანიკოსი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი. პილოტირება ჩატარდა 3 კოლეჯში (აისი, ოპიზარი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა).

პილოტირებისათვის რომელიც განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ათასწლეულის გამოწვევის ფონდის (MCA) ფინანსური დახმარებით, შერჩეულია ორი სფერო (სოფლის მეურნეობა და ინფორმაციული ტექნოლოგიები).

შერჩეულ სფეროებში, 2016 წლის ოქტომბერ-ნოემბერში განხორციელდა პილოტირება (მე-3 საფეხურის პროფესიულ პროგრამებზე მეფუტკრე, სოფლის მეურნეობა და ინფორმაციული ტექნოლოგიები). პილოტირების რეჟიმში გამოვლინდა რეკომენდაციები, რომელიც ასახულია არაფორმალური განათლების აღიარების წესის ახალ პროექტში. შემუშავდა არაფორმალური განათლების აღიარების სახელმძღვანელო. არაფორმალური განათლების აღიარების წესის პროექტი მზადაა დასამტკიცებლად და საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებებს.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 02 ივნისის N238 დადგენილებით დამტკიცდა „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება–გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის სამიზნე ჯგუფში სხვა მოწყვლად ჯგუფებთან ერთად წარმოდგენილი არიან ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები, დაბრუნებული მიგრანტები, რომლებსაც სხვა თანაბარ პირობებში, პროგრამით სარგებლობის უპირატესი უფლება ენიჭებათ.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს დადგენილებით გათვალისწინებული სამინისტროს ვალდებულებების შესრულების კოორდინაციას, კერძოდ: უზრუნველყოს ქვეყნის მასშტაბით არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ინფორმირება; კოორდინაცია გაუწიოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიერ მოკლევადიანი სასწავლო პროგრამების მომზადების პროცესს, განიხილოს შემოსული განაცხადები და უზრუნველყოს შესაბამისი რეაგირება პროგრამებში არსებული ხარვეზების გასწორების მიზნით; უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი პროგრამების დამუშავება/დამუშავების კოორდინაცია სპეციალურ ფორმატში და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის მიწოდება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ოფიციალურ ვებ-გვერდის მეშვეობით 2016 წლის 14 ივნისს გამოაცხადა განაცხადების მიღება მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების განსახორციელებლად მოთხოვნად პროფესიებში „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში. შემოსული განაცხადები და მომზადებული პროგრამები დადგენილების შესაბამისად მიეწოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომელიც თავის მხრივ ინფორმაციის შესაბამისად ანახლებენ რეესტრს რომელსაც პროგრამის ფარგლებში იყენებს სოციალური მომსახურების სააგენტო.

„პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილებაში 2016 წლის №239 დადგენილებით



შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც საქართველოში ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისათვის პროფესიული განათლების დაფინანსება გაიცემა სახელმწიფოს მიერ ან/და მონაწილეობით დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში; 2016 წელს დაფინანსდა ჩარიცხული 1 სტუდენტი.

1.3.2 ჯანდაცვა

2013 წლის 23 ოქტომბრიდან ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის მოქმედებს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა; ხოლო 2015 წლის 1 იანვრიდან, „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამისა“ და ე.წ. ჯანდაცვის „ვერტიკალური“ პროგრამების მოსარგებლებად ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებთან ერთად, განისაზღვრნენ საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირებიც; აღსანიშნავია, რომ საყოველთაო დაზღვევასთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სამინისტროში. ინფორმაციის გავრცელების მიზნით, დამზადებულია საინფორმაციო ლიფლეტებიც;

1.3.3 სოციალური დაცვა

2014 წლის 1 მარტიდან ლტოლვილსა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა გაიზარდა და განისაზღვრა 45 ლარით;

1.3.4 ნატურალიზაცია

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 12(4) მუხლის საფუძველზე, ლტოლვილის სტატუსის მქონე პირზე არ ვრცელდება დადგენილი მოთხოვნები, რასაც უყენებს სხვა უცხოელს, რომ:



- პირი მუშაობდეს საქართველოში ან/და,
- საქართველოში ფლობდეს უძრავ ქონებას,
- ან საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებდეს სამეწარმეო საქმიანობას,
- ან საქართველოს საწარმოში ფლობდეს წილს ან აქციებს.

ამდენად, ლტოლვილის სტატუსის მქონე პირები პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. რაც შეეხება ლტოლვილთა ნატურალიზაციის პროცედურისთვის ისეთ მოთხოვნებს, როგორცაა ენისა და ისტორიის ცოდნა, სამინისტრო სხვა ინსტიტუციებთან კოორდინაციით უზრუნველყოფს აღნიშნული სერვისების მიწოდებას. ასევე, მხარდაჭერილია სამინისტროს წარმომადგენლობა პანკისის ხეობაში, რათა უზრუნველყოს კომუნიკაცია იქ მაცხოვრებელ ლტოლვილებთან და ხელი შეეწყოს ინტეგრაციისა და ნატურალიზაციის პროცესს;

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ თავშესაფრის მაძიებელ და თავშესაფრის მქონე პირთა ინტეგრაციის სტრატეგია არის 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის ნაწილი, რომელიც 2015 წლის ბოლოს დამტკიცდება. რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, იგი აკეთებს დაკონკრეტებას საჭირო ფინანსური მხარდაჭერის შესახებ, რომელიც აუცილებელი იქნება ინტეგრაციის ღონისძიებების განსახორციელებლად. მოცემული ფინანსებიც დამტკიცებული იქნება სამოქმედო გეგმის დამტკიცებასთან ერთად. ამჟამად, მიგრაციის სტრატეგიაში თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილისა და ჰუმანმიტარული სტატუსის მქონე პირთა ინტეგრაციის მიმართულებით ძირითადი საკითხებია:

1. სამართლებრივი ბაზის განვითარება
2. კოორდინირების გაძლიერება
3. ინტეგრაციის პოლიტიკის დახვეწა



- საკანონდებლო ცვლილებები
- არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ბენეფიციართა წვდომის გამარტივება აღნიშნულ სერვისებზე
- ქართული ენის სწავლების, როგორც ინტეგრაციის ძირითადი ნიშნის ხელშეწყობა

1.4 საქართველოში უცხოელთა ინტეგრაციის პოლიტიკის დახვეწისა და ინსტიტუციონალიზაციის მიზნით გამოკვეთილი საჭიროებების შესწავლა

მიგრაციის საკითხთა სამთავრო კომისიის ფარგლებში, უცხოელთა წარმატებული ინტეგრაციისა და მიგრაციის სტრატეგიის წარმატებულად შესასრულებლად შეიქმნა უცხოელთა ინტეგრაციის საკითხების კონსოლიდაციის თემატური სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (თავმჯდომარე);
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (თანათავმჯდომარე);
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო;
- იუსტიციის სამინისტრო/სსგს;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- ფინანსთა სამინისტრო.

2016 წლის ივნის-ივლისის თვეებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გაიმართა აღნიშნული ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, რომელზეც განისაზღვრა უცხოელთა ინტეგრაციასთან დაკავშირებული ძირითადი აქტივობები.



საბოლოოდ უცხოელთა ინტეგრაციის ჯგუფმა ერთხმად გადაწყვიტა შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება, სადაც გაწერილი იქნება კონკრეტულად უცხოელთა ინტეგრაციის ხელშემწყობი აქტივობები.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მომზადდა და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა უცხოელთა ინტეგრაციის ჯგუფის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა.

1.5 ინსტიტუციური ცვლილებები

1.5.1 თავშესაფრის შესახებ განაცხადებზე გადაწყვეტილების მიღების ხარისხის მონიტორინგისა და ტრენინგების განყოფილება

2016 წლის პირველი იანვრიდან სამინისტროში, კერძოდ მიგრაციის, რეპატრაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის თავშესაფრის საკითხთა სამმართველოში ფუნქციონირებს ახალი სტრუქტურული ერთეული: თავშესაფრის შესახებ განაცხადებზე გადაწყვეტილების მიღების ხარისხის მონიტორინგისა და ტრენინგის განყოფილება. აღნიშნული განყოფილება ახდენს ეროვნული სასწავლო პროგრამების შემუშავებას, როგორც ახალი, ასევე გამოცდილი თანამშრომლებისთვის.

თავშესაფრის შესახებ განაცხადებზე გადაწყვეტილების მიღების ხარისხის უზრუნველსაყოფად და ახალი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობისთვის შესაბამისი ნიადაგის მოსამზადებლად, სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან (მაგ. პოლონეთი), რათა მომხდარიყო თავშესაფრის პროცედურებისთვის შესაბამისი ხარისხის ინდიკატორების დადგენა. სტრუქტურული ერთეული ასევე ახდენს ეროვნული და საერთაშორისო პრეცედენტების ანალიზს თავშესაფრის საკითხებთან დაკავშირებით, რათა შემუშავდეს ხარისხის ინდიკატორები 1951 წლის კონვენციით, ადამიანის უფლებათა ვროპული კონვენციის მესამე მუხლითა და ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა



დაცვის სხვა ინსტრუმენტების გარანტირებისა და პრაქტიკაში იმპლემენტაციის მიზნით.

რაც შეეხება პროცედურული საქმიანობის ხარისხის ინდიკატორებს, სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან და სხვა პარტნიორებთან. მაგალითისთვის, 2015 წლის ივლისში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა და საქართველოში გაეროს ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი ინტერვიუს ტექნიკებთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, სამინისტრომ მოახდინა სტატუსის დადგენის პროცედურებთან დაკავშირებით სტანდარტული ოპერაციული პროცედურებისა და სახელმძღვანელოების მობილიზება (ევროკავშირისა და რეგიონული, მაგ. სომხეთი, ლიტვა და ა.შ.) რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ხარისხის ინდიკატორების სამომავლო განვითარებაზე საქართველოში თავშესაფრის პროცედურების მიმართულებით.

იმ მიზნით, რომ გარანტირებული იყოს ამ განყოფილების წარმატებული ფუნქციონირება, სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ ხდება არსებული ტრენინგის სახელმძღვანელოს გადახედვა (რომელიც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტ GOVAC-ის (მოლდოვასა და საქართველოში ტრენინგებისა და ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება მიგრაციასა და თავშესაფართან დაკავშირებით) ფარგლებში შეიქმნა ICMPD-სა და დანიის ლტოლვილთა საბჭოს მიერ. სახელმძღვანელო შედგება სხვადასხვა ტრენინგ მოდულისგან, რომელიც ასევე შეიცავს სპეციალურ მოდულს გამოცდილი და ახალი ლტოლვილის სტატუსის დამდგენი სპეციალისტებისთვის. სახელმძღვანელო მოიცავს თეორიულ ნაწილსაც, ისევე როგორც პრაქტიკულ ნაწილს, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება თავშესაფრის პროცედურების წარმატებით განსახორციელებლად (მაგ. ინტერვიუს ტექნიკები, COI ინფორმაციის მოძიება და დოკუმენტური აღრიცხვა და ა.შ.). აღნიშნულ სახელმძღვანელოს ამჟამად რამდენიმე სახელმწიფო უწყება იყენებს, იგი ხელმისაწვდომია ქართულ და ინგლისურ ენებზე.



ხარისხის კონტროლისა და ტრენინგების განყოფილების მიერ ჩატარდა არაერთი ტრენინგი ისეთ თემებზე როგორცაა: ერაყიდან შემოსული თავშესაფრის მაძიებელთა საქმეების განხილვა, არ გამეგების პრინციპი, ექსტრადიციასთან დაკავშირებული განაცხადების განხილვა, პალესტინელი ლტოლვილების საქმეთა განხილვის სპეციფიკა, წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების სპეციფიკა, ადვოკატებისთვის თავშესაფრის საკითხებზე, თავშესაფრის პროცედურაში შიდა გადაადგილების ალტერნატივის გამოყენება, გამორიცხვა თავშესაფრის პროცედურაში და მოწყვლადი კატეგორიის თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადების განხილვის სპეციფიკა, განსახლება, ტრეფიკინგი, დოკუმენტების უსაფრთხოების საკითხები, რელიგიასთან დაკავშირებული განაცხადების განხილვა, თავშესაფრის პროცედურაში გამორიცხვის და თარგმანის საკითხი და ასევე ევროკავშირის თავშესაფრის კანონმდებლობა.

1.5.2 თავშესაფრის მაძიებელ პირთა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილება

2014 წლის იანვრიდან სამინისტროში ფუნქციონირებს „თავშესაფრის მაძიებელ პირთა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების“ განყოფილება (COI).

2015 წელს სამინისტროს COI განყოფილებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. 2014 წლის სექტემბრიდან განყოფილებაში 3 მკვლევარი მუშაობს. ამ პერიოდში მთელი რიგი ტრენინგები განხორციელდა მკვლევრებისათვის, მათ შორის, პრაქტიკული კლავის წარმოება წარმოშობის ქვეყნის შესახებ და დოკუმენტირების მეთოდები.

ამჟამად უკვე ფუნქციონირებს წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა მკვლევარისთვის. დამატებით, წარმოშობის



ქვეყნის შესახებ ინფორმაცია კლასიფიცირდება, ხდება მათი დოკუმენტაცია და ინახება შემდგომი გამოყენებისთვის.

წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების სპეციალისტები ყოველთვის უნდა ხვდებიან სხვა საქმეზე მომუშავე მუშაკებს საქმიანობის სპეციფიკაზე მოსაზრებების ურთიერთგაცვლისთვის.

წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის განყოფილებასა და პოლიტიკის პროდუქტებს შორის გამიჯვნა განსაზღვრულია მინისტრის #100 ბრძანებში „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მინიჭების პროცედურის შესახებ“.

- განყოფილება ახდენს ინფორმაციის გადამუშავებას მიუკერძოებლად, ობიექტურად და ნეიტრალურად;
- იგი არ მონაწილეობს პირდაპირ თავშესაფრის პროცედურაში;
- განყოფილება დამოუკიდებელია ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების დროს და პოლიტიკური მოსაზრებები არ ახდენს მასზე ზეგავლენას.

განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების განყოფილებებთან: მაგალითისთვის, პოლონეთის უცხოელთა ოფისთან; გერმანიის მიგრაციისა და ლტოლვილთა ფედერალურ ოფისთან (ქართულ მხარეს აქვს წვდომა გერმანულ მონაცემთა ბაზასთან) და ა.შ.

პროექტ ENIGMMA-ს ფარგლებში და ქართული COI განყოფილებისა და ICMPD-ის ინიციატივით, განხორციელდა და იგეგმება შემდგომი ღონისძიებები:

- განვითარდა წარმოშობის ქვეყნის შესახებ განყოფილების სტანდარტული ოპერაციული პროცედურები .
- უკვე ხორციელდება საქმეზე მომუშავე სპეციალისტების მიერ განყოფილებისთვის მოთხოვნების გაგზავნა და განყოფილება ახდენს



შეკითხვებზე კვლევას და შესაბამისი პასუხების მიწოდებას სპეციალისტებისთვის.

- ინფორმაციის მოძიების მეთოდების გაუმჯობესების მხარდასაჭერად ტარდება ტრენინგები/ვორქშოპები.
- სპეციფიკური წარმოშობის ქვეყნებთან დაკავშირებით (რუსეთი, შუა აღმოსავლეთი) იგეგმება ტრენინგის ჩატარება, 2015 წლის ოქტომბერში. აღნიშნულ ვორქშოპზე ასევე მოწვეულნი იქნებიან ქართველი მოსამართლეებიც.
- მიღწეულია შეთანხმება წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და დოკუმენტირების ავსტრიის ცენტრთან ACCORD, რომელიც საქართველოდან გაგზავნილ მოთხოვნებზე (წელიწადში 15 მოთხოვნა) მოახდენს რეაგირებას და ინფორმაციის მოძიებას.
- იგეგმება წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების სპეციალისტებისთვის სტაჟირებების გავლა ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესაბამის განყოფილებებში.

ხარისხის კონტროლისა და ტრენინგების განყოფილებასა და წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილებასთან ერთად, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ჩართულობით შემუშავდა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილების მუშაობის შეფასების ფორმა.

1.6 რეგულარული საკონსულტაციო შეხვედრები მარტყოფის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში

2016 წელს მარტყოფის მიმღებ ცენტრში განხორციელდა 14 შეხვედრა თავშესაფრის მაძიებლებთან. შეხვედრები დაიწყო 2016 წლის 8 ივნისს და დასრულდა 2016 წლის 23 დეკემბერს. შეხვედრების განმავლობაში თავშესაფრის მაძიებლებს მიეწოდათ ინფორმაცია



საქართველოში არსებული ინტეგრაციის პროგრამების შესახებ, მათ შორის, განათლებისა და ჯანდაცვის პროგრამებზე.

2. რეპატრიანტები

2014 წელს საქართველოს მთავრობამ მუსლიმი მესხების რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგია დაამტკიცა. აღნიშნული სტრატეგიის შექმნა, ეს არის ქართული მხარის კეთილი ნება და არა 1999 წელს ევროსაბჭოში გაწევრიანებისას აღებული ვალდებულება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის შემუშავება. როგორც სტრატეგიაშია ნათქვამი, რეპატრიანტთა ღირსეული დაბრუნება გულისხმობს რეპატრიანტების მაქსიმალურ ინფორმირებულობას და მათ ახალ სამართლებრივ გარემოში ადაპტირებას. ამ მიზნით, განსაზღვრულია რეპატრიანტთა საჭიროებების შესწავლა, რეგიონებში არსებული რესურსების იდენტიფიცირება, რეპატრიანტთა ინფორმირებულობა აუცილებელი სამართლებრივი თუ საყოფაცხოვრებო საკითხების შესახებ, ინფორმაციის მათთვის გასაგებ ენაზე მიწოდება.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ შეიმუშავა 2014 წლის 12 სექტემბერს საქართველოს მთავრობის N1671 განკარგულებით დამტკიცებული ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია, სადაც გაწერილია სტრატეგიის ფარგლებში დასახული ამოცანების მიღწევისათვის რელევანტური აქტივობები სხვადასხვა სახელმწიფო უწყების პასუხისმგებლობითა და პარტნიორობით. აღნიშნული დოკუმენტი შეთანხმებულ იქნა სახელმწიფო უწყებებთან და ასევე განხილულ იქნა სამუშაო ჯგუფის ფორმატში. 2016 წლის მაისის თვეში, ევროპის საბჭოში საქართველოზე თანამომხსენებელს საქართველოში ვიზიტისას გადაეცა სამოქმედო



გეგმის სამუშაო ვერსიის საბოლოო რედაქცია შეფასებისა და კომენტარებისათვის. ევროსაბჭოს მხრიდან მოწონებულ იქნა დოკუმენტი და დამატებითი შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა. რადგან აღნიშნულ პროცესს გარკვეული დრო დაჭირდა, სამოქმედო გეგმის ვადები ხელახლა შეთანხმდა წერილობით შესაბამის უწყებებთან. 2017 წლის 6 მარტს გაიმართა უწყებათაშორისი სამთავრობო საბჭო, რომელმაც მოიწონა სამოქმედო გეგმა. აღნიშნულ დოკუმენტი უახლოეს მომავალში წარედგინება საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად.

3. მიგრანტები

საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობის კომპონენტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ქვეყანაში მიმდინარე მიგრაციული პროცესების მართვის კუთხით და ჩვენი უწყების ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიგრაციის, რეპატრაციის და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტი არის მთავარი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოში სარეინტეგრაციო ხასიათის ღონისძიებების განხორციელების მიმართულებით, რაც მიგრაციის სტრატეგიის, სამინისტროს დებულებისა და სხვა დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე ხორციელდება. დეპარტამენტის მიერ ხდება რეინტეგრაციის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტების განსაზღვრა, ისევე



როგორც სახელმწიფო ინსტიტუტებისა და საერთაშორისო პარტნიორების საქართველოში მიმდინარე სარეინტეგრაციო პროგრამების კოორდინირება.

საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდაჭერა

საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდაჭერის მიზნით, 2011 წლიდან საქართველოში ხორციელდებოდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი- მიზნობრივი ინიციატივა საქართველოსთვის. აღნიშნული პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა როგორც საქართველოს ხელისუფლების ცნობიერების ამაღლება მიგრაციის მართვის მიმართულადაც, ასევე დაბრუნებული მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაცია და საინფორმაციო კამპანიის წარმოება ლეგალური მიგრაციის გზებსა და არალეგალური მიგრაციის პრევენციაზე. აღნიშნულ პროექტს ჰქონდა 3 მილიონ ლარიანი ბიუჯეტი და იგი წარმატებით დასრულდა 2014 წლისთვის, რა დროის მონაცემებითაც, 1165 ადამიანს გაეწია დახმარება. მიზნობრივი ინიციატივა საქართველოს შემდეგ კვლავ ევროკავშირის დაფინანსებით დაიწყო, რომლის იმპლემენტაციას ახლაც მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ახორციელებს. პროექტის მთავარი მიზანია საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაცია, ისევე როგორც საინფორმაციო კამპანიის წარმოება ლეგალური მიგრაციის გზებსა და არალეგალური მიგრაციის საფრთხეებზე. პროექტი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ხორციელდება მობილურობის ცენტრების მეშვეობით, რომლებიც მდებარეობს თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და თელავში. პროექტის საერთო ბიუჯეტი არის 375 000 ევრო და ის 2017 წლისთვის დასრულდება.

აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებულია სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტებისათვის შემდეგი სერვისების მიწოდება:

- სოციალური პროექტების დაფინანსება
- დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა
- პროფესიული სწავლება



- ანაზღაურებადი სტაჟირება
- სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება
- იურიდიული დახმარება
- საზოგადოებრივი ინფორმირებულობის პროგრამების დაფინანსება

თითოეული მიმართულება თავის მხრივ ფარავს ქ. თბილისს, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, აჭარისა და გურიის რეგიონებს. მოცემული რეგიონების შერჩევა მოხდა საჭიროების მიხედვით. დანარჩენ რეგიონებში ამჟამად მიმდინარეობს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის რეინტეგრაციის პროგრამა. სახელმწიფოს და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის რეინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებს იდენტური რეინტეგრაციის დახმარებები ეწევათ, ამასთან ერთად, აღსანიშნავია ამ ორი პროგრამის ერთმანეთთან არსებული ძალიან ოპერატიული კოორდინაცია ბენეფიციარების გადამისამართების მხრივ. სახელმწიფო პროგრამის განხორციელების ფარგლებში ხდება აქტიური თანამშრომლობა და კოორდინაცია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მობილურობის ცენტრებთან, რათა მაქსიმალურად მოხდეს გამოცდილების გაზიარება და თანხის მიზნობრივი ხარჯვა. აღნიშნული პროგრამის სამიზნე ჯგუფში მოიაზრებიან საქართველოს მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები (საქართველოს მუდმივი ბინადრობის ნებართვით), რომლებიც:

- საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ ერთ წელზე მეტი ვადით არალეგალურად ან საზღვარგარეთ ჰქონდათ განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე, ან სარგებლობდნენ ჰუმანიტარული სტატუსით;
- რეინტეგრაციის პროგრამაში ჩაერთვებიან სამშობლოში დაბრუნებიდან 1 წლის განმავლობაში.



აქვე აღსანიშნავია, რომ სარეინტეგრაციო ღონისძიებები 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამჟამად უკვე მიღებულია საქართველოსთვის მიგრაციის რისკების ანალიზის კონცეფცია და აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა მისი სამოქმედო გეგმის შექმნაზე. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, რათა მოხდეს საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა რაოდენობის დადგენა (ნებაყოფლობით, რეადმისიით, დეპორტაციით).

რეინტეგრაციის მონაცემთა ბაზაში, სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამის ფარგლებში, 2016 წლის 1 ივნისიდან რეგისტრირებულია 303 დაბრუნებული მიგრანტი. პროგრამის დასრულების შემდგომ მომზადდება ანგარიში, რომელშიც მოცემული იქნება სტატისტიკის ანალიზი.

2016 წლის 10 აგვისტოს გაიმართა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის „სარეინტეგრაციო საკითხთა კონსოლიდაციის თემატური სამუშაო ჯგუფის მე-13 შეხვედრა. შეხვედრაზე სახელმწიფო უწყებებმა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ისაუბრეს სხვადასხვა პროგრამების შესახებ, რომელთა სამიზნე ჯგუფში მოიაზრებიან დაბრუნებული მიგრანტები. გარდა ამისა, სამინისტრომ ოფიციალური წერილებით მიმართა ყველა შესაბამის უწყებასა და ორგანიზაციას აღნიშნული პროგრამების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით. წარმოდგენილი ინფორმაცია მიეწოდება სამინისტროში მოსულ ყველა დაბრუნებულ მიგრანტს ინფორმაციის სახით და ხდება მათი გადამისამართება შესაბამის პროგრამაში. სამინისტრო, იმ დაბრუნებულ მიგრანტთა მიმართ, ვინც ვერ აკმაყოფილებს პროგრამაში მონაწილეობის კრიტერიუმებს, იყენებს რეფერირების მექანიზმს. სახელმწიფო პროგრამის დაწყებიდან (18.05.2016) 2017 წლის თებერვლის



მონაცემებით, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამაში გადამისამართდა 167 დაბრუნებული მიგრანტი.

2016 წლის 10 აგვისტოს გაიმართა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის „სარეინტეგრაციო საკითხთა კონსოლიდაციის თემატური სამუშაო ჯგუფის მე-13 შეხვედრა. შეხვედრაზე სახელმწიფო უწყებებმა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ისაუბრეს სხვადასხვა პროგრამების შესახებ, რომელთა სამიზნე ჯგუფში მოიაზრებიან დაბრუნებული მიგრანტები. გარდა ამისა, სამინისტრომ ოფიციალური წერილებით მიმართა ყველა შესაბამის უწყებასა და ორგანიზაციას აღნიშნული პროგრამების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით. წარმოდგენილი ინფორმაცია მიეწოდება სამინისტროში მოსულ ყველა დაბრუნებულ მიგრანტს ინფორმაციის სახით და ხდება მათი გადამისამართება შესაბამის პროგრამაში. სამინისტრო, იმ დაბრუნებულ მიგრანტთა მიმართ, ვინც ვერ აკმაყოფილებს პროგრამაში მონაწილეობის კრიტერიუმებს, იყენებს რეფერირების მექანიზმს. სახელმწიფო პროგრამის დაწყებიდან (18.05.2016) სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამაში გადამისამართდა 167 დაბრუნებული მიგრანტი.

სარეინტეგრაციო პროგრამების მდგრადი დაფინანსება და მათი შესაძლებლობების გაზრდა საჭიროებების შეფასებასა და პროგნოზებზე დაყრდნობით

2016 წელს, სამინისტროში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მოწვეული საერთაშორისო ექსპერტის მიერ განხორციელდა არსებული სარეინტეგრაციო პროგრამების კვლევა (შიდა მოხმარების დოკუმენტი). პროგრამის დასასრულს 2017 წლის აპრილში რა დროსაც იგეგმება საბოლოო ანგარიში მომზადება განხორციელდა 2 მონიტორინგი, რომელიც საერთო ჯამში ფარავს პროექტის



მოქმედების ვადის ნახევარს 5 თვეს. 2016 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, ათვისებულ იქნა 156 487.06 ლარი (26%).

მობილურობის ცენტრების (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, თელავი) ფუნქციონირების უზრუნველყოფა

საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მობილურობის ცენტრები წარმატებით ფუნქციონირებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და თელავში. 2016 წელს მობილურობის ცენტრებში სხვადასხვა სახის სარეინტეგრაციო დახმარება დაუფინანსდა 275 დაბრუნებულ მიგრანტს.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ პროგრამის საერთო ანგარიში მომზადდება პროექტის დასრულების შემდგომ, 2017 წლის დასაწყისში, რათა აისახოს საქმიანობის ყველა კომპონენტი დაფინანსებული პროექტების მონიტორინგის ჩათვლით.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, სარეინტეგრაციო პროგრამების განხორციელება

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 2 მარტის N1391 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ N001-2016 საგრანტო პროგრამა, რომელიც მოიცავს 6 საგრანტო მიმართულებას და დაფინანსების საერთო მოცულობაა 600 000 ლარი. საგრანტო პროგრამის საფუძველზე, 2016 წლის 7 მარტს გამოცხადდა საგრანტო კონკურსი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა



ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული საგრანტო კომისიის მიერ შემუშავებული საგრანტო კონკურსში მონაწილეობის პირობები.

2016 წლის 29 მარტს ამავე საგრანტო კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც როგორც სამინისტროს, ისე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შედიან, დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით შეაფასა საგრანტო განაცხადები და თოთოეულ მიმართულებაზე გამარჯვებული (სულ 6) არასამთავრობო ორგანიზაცია გამოავლინა რომლებთანაც 2016 წლის 30 მაისსა და 31 მაისს გაფორმდა ხელშეკრულებები.

გამარჯვებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებების თანახმად, განხორციელდა 2 მონიტორინგი, რომელიც ასახავს ხელშეკრულების შესრულების მდგომარეობას 5 თვის მდგომარეობით (31.05.2016-31.10.2016). და მოიცავს როგორც ფინანსურ ნაწილს, ისე პროგრამულ ნაწილს. მონიტორინგის დასკვნები წარედგინა საგრანტო კომისიას, რომლის შემადგენლობაშიც შედიან როგორც სამინისტროს, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენა მსსკ-ის სარეინტეგრაციო საკითხთა კონსოლიდაციის სამუშაო ჯგუფისთვის

2016 წლის 10 აგვისტოს, გაიმართა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის „სარეინტეგრაციო საკითხთა კონსოლიდაციის თემატური სამუშაო ჯგუფის მე-13 შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრი სახელმწიფო უწყებების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ასევე სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამის განმახორციელებელმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა. შეხვედრაზე განხორციელდა 2016 წლის



სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამისა და ორი თვის განხორციელებული საქმიანობის მიმოხილვა, ასევე, წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია სამომავლოდ განსახორციელებელი აქტივობების შესახებ.

VII. გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო არის ამ დროისთვის მეორე უწყება, რომელმაც დაამტკიცა გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. 2016 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის N 2953 ბრძანებით დამტკიცდა სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2016-2017 წლებისათვის, რომლის ფარგლებშიც უწყებამ არაერთი ღონისძიება განახორციელა.